20/73

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 20 კაპ.

სალიტერატურო გაზეთი

1932 12 ივნისი | საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ათდღიური გაზეთი | № 14

საბჭოთა მწერლების ყრილობისათვის

საბჭოთა მწერლების ყრილობა შესდგება 20 ივნისს

აფხაზეთის მწერალთა აქტივის კრება

8 ივნისს ქ. სოხუმში შესდგა აფხაზეთის საბჭოთა მწერლების აქტივის კრება მწერლობაში გაწვეულ დამკვრელ მუშათა და კომკავშირის ლიტწრეების წევრების მონაწილეობით. კრებას დაესწრნენ აგრეთვე აფხაზეთის განსახკომის, ხელოვნების განყოფილების, საოლქო კომიტეტის კულტპროპის, საბჭოთა მხატვრებისა და მუსიკოსთა წარმომადგენლები.

მრავალრიცხოვანმა კრებამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია: **პოლიტბიუროს შემადგენლობა, მაქსიმ გორკი, ამხ. მ. ორახელაშვილი, ფილიპე მახარაძე, ლ. ბერია და ნ. ლაკობა.** საქმიან პრეზიდიუმში: ამხ. **ესვაია, ჩანბა, გრიგოლია, ხაშბა, ძიძარია, სტარცევა, ფადეევი** და სხვ. საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილების შესახებ საინფორმაციო მოხსენება გააკეთა საქართველოს საბჭოთა მწერლების საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა ამხ. **ტიციან ტაბიძემ.**

მომხსენებელი ვრცლად შეეხო იმ ამოცანებს, რომელთაც საბჭოთა მწერლობას უსახავს ცეკას ისტორიული დადგენილება სამხატვრო - სალიტერატურო ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში მიმდინარე სოციალისტური აღმშენებლობა ორ ისტორიულ ხუთწლედთა უღელტეხილზე მწერლობისაგან მოითხოვს გარდაქმნას და ეპოქის შესაფერ ტემპებს.

თუ პირველ ხანებში, განსაკუთრებით ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პერიოდში, პროლეტარულ მწერლობას ესაჭიროებოდა განსაკუთრებული დახმარება პარტიისაგან, ეხლა პროლეტ. მწერალთა კადრები ისე გაიზარდნენ, რომ მათთვის, როგორც ეს დადგენილებაშია ნათქვამი, საჭირო აღარ არის სპეციალური ორგანიზაციების არსებობა; და ეს მით უფრო, რომ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში ფეხი მოიკიდა უარყოფითმა განწყობილებებმა, რომელნიც გადაიქცნენ მწერლობის განვითარების შემაფერხებელ მიზეზებათ. ლოზუნგი „მოკავშირე, ან მტერი“ შემცდარია; ძველი ხელმძღვანელობა გაურბოდა საბჭოთა მწერლებთან ხელი-ხელ ჩაკიდებულ მუშაობას, რაც შეცდომა იყო.

[illegible] მწერლებს ეჩვენებათ თითქოს ცეკას დადგენილება ნიშნავდეს ზავს ლიტერატურაში, ან აკლებდეს კლასობრივ ბრძოლას. რა თქმა უნდა ეს შეცდომაა და ასეთ განწყობილებას სასტიკად უნდა შევებრძოლოთ.

ზოგიერთ პროლეტარულ მწერალმაც ვერ გაიგო ცეკას დადგენილების აზრი სწორად და იჩენს შეურიგებლობას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ლენინგრადში და ბაქოში. უნდა შევქმნათ ისეთი მტკიცე და ძლიერი ახალი ორგანიზაციები, რომელნიც ცეკას დადგენილების საფუძველზე ხელს შეუწყობენ ჩვენი ეპოქის ღირსეულ მწერლობის შექმნას.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. გრიგოლიამ, ძიძარიამ, კრიამ, ჩანბამ, სტარცევმა და სხვ.

კამათში გამოსული ამხანაგები ერთხმად აღნიშნავდენ ცეკას დადგენილების ისტორიულ მნიშვნელობას და ესალმებოდნენ მას. ისინი აღნიშნავდნენ, რომ წარსულში არ იყო მჭიდრო კავშირი საქართველოსა და აფხაზეთის მწერალთა ორგანიზაციებს შორის, აფხაზეთის ლიტ. ორგანიზაციები მოკლებული იყვნენ უშუალო ხელმძღვანელობას; აგრეთვე აფხაზეთის ორგანიზაციებთან არავითარი კონტაქტი არ ქონდათ საქართველოს სხვადასხვა სამხატვრო ორგანიზაციებს. განსაკუთრებით საქ. სახკინმრეწვი არ იჩენს ინტერესს აფხაზეთის მშრომელთა ცხოვრებისადმი. საჭიროა შემდეგში მჭიდრო ურთიერთობისა და მტკიცე კავშირის დამყარება.

კრებამ ერთხმად მიიღო სათანადო რეზოლიუცია.

დასასრულ არჩეულ იქნა საორგანიზაციო ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ამხ. **ესვაია, გრიგოლია, ჩანბა, სტარცევი, პერებოინი, ხაშბა, ძიძარია, ვოფგიე, ფადეევი, ალმანტინსკაია, გრიგორიევი, გადაბა, კრია,** საქართველოს საბჭოთა მწერლების ყრილობაზე დელეგატად არჩეულ იქნენ: **ესვაია, გრიგოლია და ხაშბა.**

მტკიცეთ გავატაროთ ცეკას დადგენილება

7 ივნისს ქუთაისში შესდგა მწერალთა გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც საქ. კ. პ. (ბ) ცენ. კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. **პ. ჩხიკვაძემ.**

კამათში გამოსული მწერლები ერთხმად იწონებდენ აღნიშნულ დადგენილებას და მოითხოვენდენ მტკიცედ მის ცხოვრებაში გატარებას.

ამ სხდომაზე დაშლილად იქნა გამოცხადებული პრ. მწ. ასოციაციის და საბჭოთა მწერლების ფედერაციის ქუთაისის განყოფილებები.

საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილების ჩამოყალიბებამდე, დაშლილ ლიტორგანიზაციების ქონების ჩასაბარებლად და საქმეებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად გამოყოფილი იქნა საორგანიზაციო ბიურო ამხ. **ივ. ძაძამიძის** თავმჯდომარეობით.

იგივე ბიურო ჩაატარებს ქუთაისში მცხოვრებ მწერალთა აღრიცხვას ანკეტების საშუალებით. შემდეგ ამ ანკეტებს სათანადო დასკვნებით დასამტკიცებლად გადმოუგზავნის ცენტრალურ საორგანიზაციო კომიტეტს.

სრ. საქართველოს საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობაზე დელეგატებათ არჩეული იქნენ ამხ. **კ. იამანიძე, პ. ბახტურიძე, და ფურცხვანიძე.**

სამხრეთ-ოსეთში

7 ივნისს შესდგა სამხრეთ-ოსეთის პროლეტარულ და საბჭოთა მწერალთა საერთო კრება. საკავშირო კომ. პარტიის ცეკას 23 აპრილის დადგენილების შესახებ მოხსენებით გამოვიდნენ ამხ. **ბ. ძღენტი და პ. სამსონიძე,** აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია—სადაც გამოთქმულია მისალმება ცეკას ისტორიულ დადგენილების გამო მწერალთა ორგანიზაციების რეორგანიზაციის შესახებ.

კრებაზე არჩეულ იქნა ოთხი დელეგატი სრულიად საქ. საბჭოთა მწერლების ყრილობისათვის.

ლენინგრადში

2 ივნისს, ამხ. **რ. ბაუზეს** თავმჯდომარეობით შესდგა ლენინგრადის საბჭოთა მწერლების ორგკომიტეტის პირველი სხდომა. ერთ-ერთ ძირითად საკითხს, რომელიც ამ სხდომაზე გარჩეულ იქნა, წარმოადგენდა საკითხი სალიტერატურო ჟურნალების შესახებ.

ამ საკითხზე აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს გამოირკვა, რომ 10-15 წევრიანი რედკოლეგიები ხელს უწყობენ გაუპიროვნებას სარედაქციო მუშაობაში. მთელი რიგი მწერლებისა ერთსა და იმავე დროს ითვლებიან რამოდენიმე რედკოლეგიის წევრად, რაც ხელს უშლის რედაქციათა შორის ჯანსაღ შეჯიბრების გაშლას.

სხდომაზე გამოითქვა აზრი მოკლე ხანში აუცილებლად გადაისინჯოს რედკოლეგიების შემადგენლობა მათი გაახალისების მიზნით იმ რაგათ, რომ მათში შეყვანილი იქნან მუშაკები, რომლებიც ნამდვილად აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მუშაობაში.

მწერალთა აქტივის კრება ბათომში

5 ივნისს, ბათომში შესდგა მწერალთა საერთო კრება, რომელიც გახსნა ამხ. **მალაზონიამ.** საპატიო და საქმიან პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ საკ. კ. პ. (ბ) ცენ. კომიტეტის 23 აპრილის დადგენილების საფუძველზე საქართველოს მწერალთა ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **სანდრო ეულმა.**

საორგანიზაციო საკითხებზე მოხსენება გააკეთა ამხ. **ლეო ქიაჩელმა.**

მოხსენებათა ირგვლივ გაიმართა ცხოველი კამათი, რის შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია, რეზოლიუციაში კრება ესალმება პარტიის ც. კომიტეტის ხსენებულ დადგენილებას და დროულად ცნობს მას.

დასასრულ არჩეული იქნა საორგანიზაციო კომისია, რომელსაც დაევალა ბათომში მცხოვრებ მწერალთა აღრიცხვა და მიმდინარე მუშაობის წარმოება ბათომში მწერალთა კავშირის განყოფილების ჩამოყალიბებამდე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობაზე დასასწრებლად არჩეული იქნა 2 დელეგატი.

მწერალთა აღრიცხვა

საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის დადგენილებით ადგილებზე მწერალთა აღრიცხვას ატარებს ადგილობრივი ორგბიუროები.

ადგილებზე მწერლებმა ანკეტები უნდა შეავსონ ორ ცალად, ერთი რჩება ადგილობრივ ორგბიუროს, მეორე ორგბიუროს სათანადო დასკვნით გადმოგზავნილი უნდა იქნეს ცენტრში. დაგვიანებით ადგილებიდან გადმოგზავნილ ანკეტებს განიხილავს, ყრილობის შემდეგ, საბჭოთა მწერლების კავშირი.

საერთოდ ადგილებიდან გვიან გადმოგზავნილ ანკეტებს, და თბილისში აღრიცხვის გარეშე დარჩენილ მწერლების კავშირში წევრათ ჩარიცხვის საკითხს განიხილავს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა.

თბილისში მცხოვრები ის მწერალი, რომელიც დანიშნულ ვადამდე აღრიცხვაში არ გატარდა, ყრილობაზე ვერ ისარგებლებს გადამწყვეტი ხმის უფლებით, არც ჩაითვლება მწერალთა კავშირის წევრათ.

ასეთ მწერლის კავშირში წევრათ ჩარიცხვის საკითხს, სათანადო ანკეტის შევსების შემდეგ, როგორც აღნიშნულია, გადაწყვეტს საბჭოთა მწერლების კავშირი.

საბჭოთა მწერლების კავშირის განყოფილებები ადგილებზე დაარსდება სრ. საქართველოს საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობის შემდეგ, ცენტრ. კავშირის ხელმძღვანელობით.

დავაჩქაროთ ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის შედგენა

მაქსიმ გორკის წერილიდან

მაქსიმ გორკიმ მიმართა წერილით 26 ფაბრიკა ქარხნების მუშებს, რომელთა ისტორია უნდა დაიწეროს პირველ რიგში 1932—33 წლის განმავლობაში.

წერილში აღნიშნულია, რომ ამ ქარხნების ისტორია უნდა დამთავრდეს 1932 წელში. ეს ამოცანა შესრულებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაუყოვნებლივ გაძლიერებული იქნება მუშაობა წიგნის შესადგენად.

ქარხნების პარტკომებმა და გამოყოფილ სარედაქციო კომისიებმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ზომები, და უზრუნველყონ წიგნის ვადაზე რომ გადაჭრით წასწიონ წინ საქმე გამოცემა.

მთავარ რედაქციებს უნდა ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა ადგილებზე წარმოებულ მუშაობის შესახებ, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში მას მიეცემა საშუალება კონკრეტულ დახმარების გაწევისა.

საჭიროა ჩატარებული იქნეს შემოქმედებითი მუშაობაზე გადასვლის პროცესი წიგნის შედგენისათვის. ამისათვის საჭიროა დაუყოვნებლივ დაიწყოს ლიტერატურულ ჯგუფების შედგენა ისეთ ამხანაგების გაერთიანებით, რომელთაც შეეძლებათ წიგნის შედგენისათვის კოლექტიურად სელის მოკიდება, თავის თავზე საპასუხისმგებლო ვალდებულების აღება მუშაობის დროულად შესრულების შესახებ და ხელშეკრულების დადება მთავარ რედაქციასთან იმ ღონისძიებების გათვალისწინებით, რომელნიც უზრუნველყოფენ მუშაბის შესრულებას.

—

საქართველოში პირველ რიგში უნდა დაიწეროს თბილისის რკინის გზის სახელოსნოების, ჭიათურის მაღაროების და ბათომის ნავთის ქარხნების ისტორია.

საქართველოში ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის დაწერის საქმის ხელმძღვანელობისათვის გამოყოფილია ცენტრ. კომიტეტი ამხ. **გ. ყურულაშვილის** თავმჯდომარეობით.

საჭიროა საბჭოთა მწერლების კავშირმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის შედგენაში და ამით გაუადვილოს აღნიშნულ კომიტეტს მუშაობა.

ოქტომბრის 15 წლის თავზე

შევქმნათ სოციალისტურ მშენებლობის ამსახველი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები

ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის თავზე ხელოვნების ყველა დარგში უნდა აღინიშნოს დიადი, მონუმენტალური ნაწარმოებთა შექმნით. ეს ნაწარმოებნი უნდა ასახავდენ გრანდიოზულ სოციალისტურ მშენებლობის მიღწევებს და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლებს სოციალიზმისათვის.

მხატვრული ლიტერატურა, მხატვრობა, მუსიკა,—აი ის მთავარი დარგები, რომლებიდანაც უნდა მივიღოთ ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის თავის აღსანიშნავათ ხელოვნების ნიმუშები.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში ამ მიმართულებით კარგა ხანია დაიწყო მუშაობა, კერძოთ რუსეთსა და უკრაინაში უკვე ბევრი რამაა გაკეთებული ამ უდიდესი მნიშვნელობის თარიღის ღირსეულად აღსანიშნავად.

ჩვენში, საქართველოში კი ჯერ მოსამზადებელი მუშაობაც არ დაწყებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სახელგამის თაოსნობით მოწვეულ რამდენიმე სხდომას და მის მიერვე „წესათ“ გამოცხადებულ კონკურს საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებზე.

ამ კონკურსის პირობები გამოქვეყნებული იყო „სალიტერატურო გაზეთში“. კონკურსის პირობები ისეთია, რომ საეჭვოა მას სასურველი შედეგი მოჰყვეს.

ასევე მოკლებულია წაქეზების და პრაქტიკულ მნიშვნელობის ხასიათს რადიო-ცენტრის მიერ დანიშნული კონკურსი საუკეთესო რადიო-მუსიკალურ ნაწარმოებებზე.

ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის თავისათვის სრულებით არაფერი გაუკეთებიათ მწერალთა ორგანიზაციებს, რომელნიც პირველნი უნდა ყოფილიყვნენ ამ საქმეში.

პრ. მწერალთა ასოციაცია და საბჭოთა მწერლების ფედერაცია ისე დაიშალნენ, რომ მათ არც კი მოგონებიათ მწერალთა მასაში ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის თავისათვის საუკეთესო ნაწარმოებთა შექმნის მიზნით საჭირო მუშაობის ჩატარება და ამ საკითხის ირგვლივ რაც შეიძლება მწერალთა მეტი რაოდენობის დარაზმვა.

საბჭოთა მწერლების კავშირი, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს 20 ივნისისათვის მოწვეულ საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობაზე, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის თავისათვის პრაქტიკულ მუშაობას და საჭირო ღონისძიებების გატარებას. კავშირმა სასწრაფოთ უნდა ითაოს იმის გამორკვევა, თუ რომელი მწერალი რის გაკე- [illegible] კეთებას აპირებს და თვითეული მათგანი მიამაგროს გამომცემლობებს, ამ უკანასკნელებთან შეთანხმებით და საჭირო პირობების შექმნით.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ განათლების სახ. კომისარიატთან არსებულ სახელოვნო განყოფილების უმოქმედობა. ამ განყოფილებას, რომელიც მოწოდებულია უხელმძღვანელოს ხელოვნების ყველა დარგს, დღემდე თითიც არ გაუნძრევია აღნიშნული მიზნით სახელოვნო ორგანიზაცია-დაწესებულებების ასამოქმედებლად.

უთუოთ სახელოვნო განყოფილების სუსტი ხელმძღვანელობის ბრალია, რომ ჯერ კიდევ არ შესდგომიან საქმიან სამზადისს მუშაობას მხატვრების ორგანიზაცია, სახკინმრეწვი, თეატრები, კომპოზიტორები და სხვ. ეს იმ დროს, როცა ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულამდე აღარც ისე დიდი დროა დარჩენილი დიდი მხატვრული წონის ნაწარმოებთა შექმნისათვის.

ასეთ უმოქმედობას ბოლო მოვუღოთ და დაუყოვნებლივ იქნეს ენერგიული ზომები მიღებული სამზადისს მუშაობის გასაჩაღებლად.

თვითეულ მწერალს, მხატვრას, მუსიკოს და ხელოვნების სხვა მუშაკს ეხლავე მიეცეს საშუალება იკისროს ამა თუ იმ სახის ნაწარმოების შექმნის ვალდებულება, თორემ როცა საზაფხულოთ გაიფანტებიან, შემდეგ შეუძლებელი იქნება რაიმე რეალური გეგმის შედგენა.

ეს არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან ჩამოთვლილ ორგანიზაციებს და კერძოთ სახელმწიფო გამომცემლობას, რომლის უნარიანობაზე და მონდომებაზე ბევრათაა დამოკიდებული ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულისათვის ღირსეულ მხატვრულ ნაწარმოებთა შექმნის საქმე.

ვ.

მწერალთა კლუბში

საუკეთესო მუსიკალურ ნაწარმოებზე საკავშირო კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით ეგ. ნინოშვილის სახელობის მწერალთა კლუბში შესდგა მწერლების კომპოზიტორების, სცენარისტების და ბალეტის მუშაკების თათბირი.

კონკურსის მნიშვნელობასა და პირობების შესახებ მოხსენებები გააკეთეს მოსკოვის დიდი თეატრის სახელით ამხ. რემეზოვმა და „კომსომოლსკაია პრავდა“-ს წარმომადგენელმა.

მოხსენებათა ირგვლივ გამართულ კამათში გამოსული მწერლები დრამატურგები, კომპოზიტორები, ლიბრეტოს მუშაკნი, რეჟისორები და სხვანი მხურვალეთ მიესალმნენ მოსკოვის დიდი თეატრის და „კომსომოლსკაია პრავდა“-ს ინიციატივას და, აღნიშნეს კონკურსის დიდი მნიშვნელობა.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის და დრამკომის თავმჯდომარემ ამხ. გ. ბუხნიკაშვილმა აღნიშნა, რომ საუკეთესო მუსიკალურ ნაწარმოებზე საკავშირო კონკურსის გამოცხადება ხელს შეუწყობს ეროვნულ რესპუბლიკის კომპოზიტორების და დრამატურგების შემოქმედების გაძლიერებას

დასასრულ კომპოზიტორებმა, დრამატურგებმა, სცენარისტებმა (კომპ. დ. არაყიშვილმა, გოკიელმა, მელვინეთ-უხუცესმა, ფოცხვერაშვილმა, პროფ. შევდოვმა, ნაზარიანმა, ტოროშელიძემ და სხვ.) წამოაყენეს პრაქტიკული ხასიათის წინადადებები კონკურსში ახლო მონაწილეობის მიღების შესახებ.

კონკურსი მუსიკალურ ნაწარმოებზე

მოსკოვის „კომსომოლსკაია პრავდა“-ს რედაქციამ და დიდი თეატრის დირექციამ გამოაცხადეს საკავშირო კონკურსი ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის თავის აღსანიშნავად საუკეთესო ლიბრეტოსა და მუსიკალურ ნაწარმოებზე, ბალეტსა და სიმფონიაზე.

ეს კონკურსი იმავე დროს წარმოადგენს სამუსიკო და სალიტერატურო ორგანიზაციების შემოქმედების დათვალიერებას.

ნაწარმოების შინაარსი (როგორც ოპერის ლიტერატურული ლიბრეტი, ბალეტის სცენარი, ისე სიმფონიისა და ცალკე სხვა მუსიკალურ ნაწარმოების პროგრამა) უნდა გამოსახავდეს ჩვენი ეპოქის მოწინავე იდეებს—პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალისტურ საზოგადოების შენების იდეებს—განსახიერებულს უაღრესად მხატვრულ სახეებში.

საუკეთესო ოპერის შექმნისათვის გაცემული იქნება პირველი პრემია 20.000 მ. რაოდენობით, მეორე პრემია—12.000 მ. და მესამე პრემია—8.000 მ. რაოდენობით.

საუკეთესო ბალეტის შექმნისათვის დაწესებულია პირველი პრემია 20.000 მ. რაოდენობით, მე-2 პრემა—12000 მ. და მე-3 პრემია—8.000 მ. რაოდენობით .

საუკეთესო სიმფონიისათვის პირველი პრემია გაიცემა 7.000 მ. რაოდენობით, მე-2 პრემია—4.000 მ. და მესამე პრემია 3.000 მანეთის რაოდენობით.

სახელგამმა უნდა დააჩქაროს

ოქტომბრისათვის მხატვრული ლიტერატურის გამოცემის საქმე

სახელმწიფო გამომცემლობაში ამხ. **ნ. მიწიშვილის** თავმჯდომარეობით შესდგა მწერალთა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის თავისათვის მხატვრული ლიტერატურის გამოცემის საკითხები.

თათბირმა დაადგინა სახელგამმა დააჩქაროს ოქტომბრისათვის მხატვრულ ლიტერატურის გამოცემის საქმე.

[illegible]ბირმა მიზანშეწონილად ცნო ოქ[illegible]ს დღესასწაულის აღსანიშნავად გა[illegible] 1) ახალი ლექსების კრებული; 2) პროზა, თვითეულ მწერლის ცალ-ცალკე, სერიებათ; 3) ქართულ მწერლობის კრიტიკული მიმოხილვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე; 4) ნარკვევების წიგნი, რომელშიაც ასახული იქნება სოციალისტური აღმშენებლობა; აგრეთვე მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ოქტომბრის რევოლიუციის 15 წ. თავთან დაკავშირებით გამოიცეს მეზობელ რესპუბლიკების მწერალთა ნიმუშების კრებული.

[illegible]იუსი

[illegible]იცავით საბჭოთა კავშირი*)

[illegible]ოდებით მუშებს, გლეხებს და ომის ყოფილ [illegible]ვენ განვიცდით მეტად [illegible]ენტს. მე მოუწოდებ ყველა[illegible]ც მე მისმენენ, სახეში შეხედონ [illegible]ანდელ სინამდვილეს და იმ მდგომარეობას, რომელიც შექმნილია დედამიწის ხუთ მეექვსედ ნაწილზე შეძლებული კლასების დიქტატურით.

კაპიტალიზმმა საქმით დაამტკიცა მთელი თავისი უძლურება. 50 მილიონი უმუშევარი! და ყოველდღე ახალ-ახალ მასებს უერთდებიან ქუჩაზე. ამ წესწყობილების მთელი სიმძიმე აწვება მასებს. თვითმკვლელობათა რიცხვი იზრდება. იზრდება გაჭირვება, შიმშილი, სამხედრო, კოლონიალური და პოლიციური სისხლის ღვრა... და გაკოტრებაც თანდათან ფართოვდება!

კაპიტალიზმის აგონია

ძველ რეჟიმს უკვე აღარ შეუძლია ამოვიდეს იმ უფსკრულიდან, საითაც ის მიემართება. ის უძლურდება და თანდათან ქვევით ეშვება თავის უუნარობისა და ორგანიულ წინააღმდეგობათა გამო, რადგან არსებობენ ადამიანთა საზოგადოების საბედისწერო კანონები. ახლოვდება ამბები, რომლებიც ისევე აუცილებელია, როგორც კანონები, რომლებიც აწესრიგებენ დროის ცვალებადობას და დედამიწის რყევას.

მაგრამ თუ კაპიტალიზმს აღარ შეუძლია სიცოცხლე, მას მით უმეტეს არ სურს სიკვდილი. ის ბოლომდე იყენებს იმ იარაღს, რომელიც ჯერ კიდევ მის ხელშია. ის სისხლში ცურავს: მისი აგონიაც კი კატასტროფიულია.

მსოფლიოს რაციონალურ ექსპლოატაციას შეუძლია რამოდენიმე საუკუნით უზრუნველჰყოს ყველა მცხოვრებლები პურით და სურსათით და უზრუნველჰყოს მათი უშიშროება. მაგრამ ეხლა მთელი ერები იხრჩობიან გაჭირვებაში და იხოცებიან. ამას წინად მანიტობში დასწვეს 8 მილიონი ტომარა პური, შეერთებულ შტატებში გაანადგურეს მრავალი ბამბა და მდინარეებში გადაღვარეს რძე, შაოლერუაში მრეწველებმა გაანადგურეს მრავალი ტონა შუშეულობა, კალეში ზღვაში გადაყარეს უამრავი თევზი, ბრაზილიაში გაანადგურეს ყავის მთელი პარტიები, ყავას ბრიკეტებად ამზადებენ და სხვა. ეს საშინელი აბსურდია, რომელიც ამტკიცებს იმ რეჟიმის, მთელ ბარბაროსობას, რომლისაგანაც ჩვენ ვიტანჯებით!

ომი კვლავ ახლოვდება. ეს უნდა დავინახოთ, მიუხედავად იმ ბურუსისა, რომელშიაც სურთ გახვიონ. მოიგონეთ 1913 წელი. ეხლა მთელს მსოფლიოში ომის ისეთივე მიზეზებია, მაგრამ კიდევ უფრო მეტის რაოდენობით და კიდევ უფრო მეტად კატეგორიული.

შეიარაღება და ერთა ლიგის დახვარება

საჭირო არ არის შევჩერდეთ მშვიდობიანობის და განიარაღების ყველა იმ კომედიაზე, რომლებსაც ეხლა თამაშობენ. ჩვენ ყველამ ვიცით ამის ფასი. [illegible], ორპირიანი ანგარიშები და დაბალი დიპლომატია,—ყველა ამან ახალი მასალა უნდა მისცეს მასების ნდობას. ლოკარნოს ხელშეკრულებები, კელოგის პაქტები არის და სამუდამოდ დარჩება „ქაღალდის ნაგლეჯების“ ისტორიულ მაგალითად.

გაკოტრებასთან, დაშლასთან და ლოკაუტებთან ერთად იზრდება შეიარაღება. ამზადებენ გაზების ომს, რომელმაც უნდა ჩასწეროს მე-20 საუკუნის სახელოვან ისტორიაში თავი მთელი ერების განადგურების შესახებ; ზეცა მოფენილია სასიკვდილო მანქანების გიგანტური ფლოტილიებით, ამზადებენ ტანკებს, რომლებიც კრეისერებს მოგვაგონებენ (ომში ნამყოფო ამხანაგებო, ჩვენ არაფერი ამგვარი არ გვინახავს!). საფრანგეთში ოცი მილიონი იხარჯება ამაზე წელიწადში, ინგლისის არმია კი ემზადება თვითეულ ჯარის კაცს მისცეს არა თოფი, არამედ ტყვიამფრქვევი. ერთა ლიგა ცდილობს შეასრულოს როლი, რომელიც საჯაროდ აღიარებული იქნა ამ ოფიციალური არეოპაგის ჩასახვის თანავე, სახელდობრ, კაპიტალიზმის შენარჩუნება იმ სახით, როგორითაც დღეს არსებობს, ე. ი. ადამიანის ექსპლოატაცია ადამიანის მიერ.

საბჭოთა კავშირი სოციალიზმია მოქმედებაში

იაპონიის ომი აზიაში წარმოიშვა, როგორც ამას ამტკიცებს ამბების განვითარება, ევროპის დიდი სახელმწ. და ამერიკის დახმარებით და წაქეზებით, რათა მეგობრულად გაინაწილონ ჩინეთის ბაზარი. მაგრამ იაპონიის იმპერიალისტური ძაღლები გამოუშვეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაც. სწორედ აქ უნდა დავინახოთ გრანდიოზული საკითხი მთელი თავისი სიგრძესიგანით.

აშკარაა, რომ გარდა თავისი ვაჭრული ინტერესებისა, რომლის შესახებ მათ შეუძლიათ შეთანხმდნენ, დიდ სახელმწიფოებს აქვთ საერთო ინტერესი, სახელდობრ—მისწრაფება იქითკენ, რომ გადაარჩინონ ის სისტემა, რომელიც სასარგებლოა მხოლოდ ვაჭრებისათვის.

რადგან საბჭოთა კავშირი — ეს ცოცხალი სოციალიზმია. კაპიტალიზმთან შედარებით — ეს სულ სხვა წესწყობილებაა, სულ სხვა სისტემაა, სულ სხვა მსოფლიოა: შეუჩერებელ და უწესრიგო ზედმეტ წარმოებას დროებით ინდივიდუალურ მოგებას, რომელიც კატასტროფიულად მოქმედობს სხვებზე, კონკურენციას, რომელიც არ ჩერდება ბანდიტიზმის და ნაციონალისტური ჰიპერტროფიის მეთოდების წინაშე, მუშათა და გლეხთა სახელმწიფო უპირდაპირებს ყველა მშრომელთა მთლიანობას, შრომის მთლიანობას, სოციალურ სამართლიანობას და მშვიდობიანობას. ეს ეხლანდელ მსოფლიოში ეს ერთად-ერთი პაციფისტური სახელმწიფოა. ამას ამტკიცებს ყველა ის კეთილშობილი ღონისძიებანი, რომელიც მან დღემდე მიიღო, რათა არ წამოგებულიყო იაპონიის პროვოკაციაზე, ამას ამტკიცებს ის პრინციპები, რომელზედაც ეყრდნობა საბჭოთა კავშირი.

კაპიტალისტური რეჟიმის პირობებში შეუძლებელია მშვიდობიანობა, შეუძლებელია ეხლანდელი კრიზისის საბოლოო გადაწყვეტა. ომი და ყველა ეხლანდელი ეკონომიური გაჭირვება შეწყდება მხოლოდ სოციალიზმის დროს. მსოფლიო შეიძლება გადავარჩინოთ მხოლოდ გეგმიანი ეკონომიკით, მაგრამ გეგმიანი ეკონომიკა შეიძლება იყოს მხოლოდ სოციალისტური.

აი ამიტომ არ სურს კაპიტალისტურ მსოფლიოს, რომ სადმე არსებობდეს სოციალისტური სახელმწიფო. აი, ამიტომ ცდილობს ის გაანადგუროს საბჭოთა კავშირი. მას არ შეუწყვეტია ეს ცდები ოქტომბრის რევოლიუციის დროიდან. ის აქეზებდა და ყოველმხრივ ამარაგებდა თეთრ არმიებს. მას არ შეუწყვეტია შეთქმულებების და საბოტაჟის მოწყობა. ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ იმ კოლოსალურ ცილისწამებათა კამპანიის შესახებ, რომელსაც ის მიმართავდა, კაპიტალისტურმა მსოფლიომ სოციალისტურ სახელმწიფოს შემოარტყა ისეთი ქვეყნების რკალი, რომლებიც გამარჯვებული კაპიტალისტურ სახელმწიფოების მოკავშირეებია,—ისეთი სახელმწიფოების, რკალი, რომლებიც სწორედ ამ მიზნით არიან შექმნილი და რომელთაც კაპიტალისტური მსოფლიო აწოდებდა ოქროს და გამანადგურებელ იარაღებს.

მაგრამ ეს ცოტაა. კაპიტალისტურ სამყაროს ომი სურს. არასოდეს მდგომარეობა არ ყოფილა ისეთი სერიოზული მანჯურიის საზღვრებზე, როგორც ეხლა.

საზღვრები სავსეა იაპონელებით და თეთრ გვარდიელებით. სხვა პროვოკაციებს მიმართავენ რუმინეთის საზღვრებზე და მოსყიდული პრესა აწარმოებს კამპანიას იმ მიზნით, რომ მოამზადოს საზოგადოებრივი აზრი ჯვაროსნული ომისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მათ სურთ დაგვარწმუნონ იმაში, რომ მრავალრიცხოვან საბჭოთა გლეხებს უნდათ ბესარაბიაში გადასვლა, რომელიც ჯოჯოხეთს წარმოადგენს და პოლიციელების და ჯარისკაცების სათარეშოდ არის გადაქცეული. მეორეს მხრივ ჩვენ გვახსოვს ის საშინელი სისხლის ღვრა, რომელიც მოუწყვეს რუმინეთის ჯარისკაცებმა და ჟანდარმებმა ბესარაბიელ გლეხებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში გაქცევას ლამობდნენ. ჩვენ გვახსოვს ის უამრავი გვამები, რომლებიც დნესტრის ყინულზე დასტოვეს დასალპობად, ჩვენ გვახსოვს მთელი დაბების მოსახლეობის აოხრება, ჩვენ გვახსოვს მუცელგამოშიგნული ბავშვები, რომლებიც დედებს თვითონ უნდა გადაეცათ ჯალათებისათვის.

საბჭოთა კავშირი, რომელმაც ოცი მილიონი კვადრატული კილომეტრის ტერიტორიაზე დააწესა კაპიტალიზმის კანონის დიამეტრალურად საწინააღმდეგო კანონი, განაგრძობს განვითარებას. მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებებისა. ის წინ მიდის, გამხნევებული თავის საქმის სიდიადის შეგნებით,—საქმის, რომელშიაც თვითეული ცალკე პირის ინტერესები ლოღიკურად ვითარდება ყველას ინტერესების სასარგებლოდ.

რევოლიუციონერის მოვალეობა

ჩვენ მთელი ჩვენი არსებით უნდა დავიცვათ ეს საქმე, რომელიც ჩვენ უშუალოდ გვეხება.

არსებობს ერთი სოციალიზმი, მაგრამ სხვადასხვა სოციალისტები. რომელიმე ნოსკეს ანდა მაკდონალდის სოციალიზმი იგივეა, რაც მილერანის სოციალიზმი, პილსუდსკის, ზამორას ანდა პუანკარეს რესპუბლიკანიზმი.

მაგრამ არსებობენ უფრო საშიში ფიგურები, ვიდრე ესენი, რომელთაც მეტად გარკვეული ნიშნები ახასიათებთ. კომპრომისული და რეფორმისტული სოციალიზმი უფრო საშიშია მუშათა კლასისათვის, ვიდრე აშკარა რეაქცია. სოციალ-დემოკრატიული ლიდერების საზიზღარმა კომპრომისებმა დიდი დამარცხება და უკან დახევა მოუტანა მშრომელებს მრავალ ქვეყანაში.

რევოლიუციონერი, რომელსაც სწამს პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების იძულებით დაპყრობა და ეხლანდელი სოციალური სისტემის რადიკალურად დანგრევა, მუდამ უნდა იბრძოდეს ბურჟუაზიის წინააღმდეგ, არ უნდა წავიდეს არავითარ დათმობაზე და არ მიმართოს დიპლომატიურ ხერხებს.

გავერთიანდეთ ყველა კომუნისტური ინტერნაციონალის რიგებში! მისი რიგებიდან გამოვლენ ახალი ჯიშის ადამიანები, რომლებიც სახეს შეუცვლიან მთელს დედამიწას, მსგავსად საბჭოთა კავშირის გიგანტებისა, რომლებიც უკვე შეუდგნენ ამ საქმეს, რომლებიც ჩვენსკენ იცქირებიან და გველოდებიან ჩვენ უკვე 15 წლის განმავლობაში!

---

*) წერილი დაბეჭდილია გაზეთ „იუმანიტე“-ში, საფრანგეთის კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის ორგანოში, 1932 წ. 1 მაისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივცეთ წიგნი სოფელს

მეტი ყურადღება წიგნების შეგროვების საქმეს

სოფლის მშრომელი მოსახლეობის კულტურული დონე დღითი-დღე მაღლა იწევს. საკოლმეურნეო მოძრაობის ტემპების ზრდამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით ხელი შეუწყო მშრომელ გლეხთა მასების გათვითცნობიერებას.

წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში უკვე მახლობელ თვეების საკითხია.

სკოლებით, ქოხ-სამკითხველოებით და წითელ კუთხეებით დაქსელილია სოფელი. მშრომელი გლეხი თავისუფალ დროს სასოფლო სალაყბოზე აღარ კარგავს ტყუილ უბრალოდ და ხარბად ეწაფება ცოდნას. კითხულობს გაზეთს, წიგნს, უსმენს რადიოს.

მაგრამ ჩვენი სამკითხველოები და სასოფლო და სარაიონო წიგნთსაცავები ვეღარ აკმაყოფილებენ კოლმეურნე და მშრომელ გლეხ მკითხველის მოთხოვნილებას. სოფელს აკლია წიგნი, გლეხ ახალგაზრდობას ამოწურული აქვს თავის ღარიბ ბიბლიოთეკების კატალოგები.

1 ივნისს დაწყებულმა—სოფლისათვის წიგნის მასიურად შეგროვების საქმემ ჯერ კიდევ საკმაო გამოხმაურება ვერ ჰპოვა ქალაქის მოსახლეობაში. კომკავშირის მიერ დაწყებულ საქმეში ჯერ კიდევ ფართოდ ვერაა ჩაბმული მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა, კერძოდ ჩვენი მწერლობა.

ეს საკითხი კი ისე არავის უნდა აინტერესებდეს, როგორც მწერლებს. მწერალთა ძირითადი მკითხველი მასა სოფელშია, თვითეული მწერალი უნდა ცდილობდეს თავის წიგნი მიაწოდოს ამ მასას, თავის წიგნთან ერთად მას მიაწოდოს სოფლისათვის საჭირო წიგნები და მით ხელი შეუწყოს კოლმეურნე და მშრომელ გლეხთა მასების კულტურული დონის უფრო მეტად ამაღლებას.

მწერლებმა ამ საქმეში უნდა ჩააბან ხელოვნების სხვა დარგების მუშაკები, მუსიკოსები, მხატვრები, დრამატურგები და სხვა.

გარდა ამისა, არ კმარა პირადულ გამოწვევებით დავკმაყოფილდეთ. ამ საქმეში უნდა ჩაებან აგრეთვე ჩვენი გამომცემლობები და სხვადასხვა სახელოვანი და კულტურულ - განმანათლებელი დაწესებულებები.

საჭიროა მეტი აქტივობა, მეტი დაინტერესება ამ საქმით.

სოფლის მოთხოვნილება წიგნზე სავსებით უნდა დავაკმაყოფილოთ.

სასოფლო სამკითხველოებისათვის შემომაქვს 20 წიგნი.

მიხ. ჯავახიშვილი.

—:—

ამხ. **ს. ჩიქოვანის** გამოწვევით სოფლის სამკითხველოებისათვის შემომაქვს 20 წიგნი და ვიწვევ ამხ. ამხ. გალ. ტაბიძეს, შ. ალხაზიშვილს, პლ. კეშელავას.

ალი არსენიშვილი.

—:—

ამხ. **რ. გვეტაძის** გამოწვევით სოფლის სამკითხველოებისათვის შემომაქვს 20 წიგნი და ვიწვევ: ამხ. კონ. ჭიჭინაძეს, მალუა აფხაიძეს, გ. ლეონიძეს, კ. მელაძეს და ვ. აკობაშვილს.

ილო. მოსაშვილი

ამხ. **პ. ჩხიკვაძის** გამოწვევით სოფლის სამკითხველოებისათვის შემომაქვს 30 წიგნი და ვიწვევ: ამხ. პაოლო იაშვილს, ვალერ. გაფრინდაშვილს, სანდრო შანშიაშვილს, გრ. რობაქიძეს, ნიკო ლორთქიფანიძეს, ალ. აბაშელს, პ. ინგოროყვას, არ. ქუმბაძეს, ი. გრიშაშვილს, პ. ქავთარაძეს, კ. ნადირაძეს, გ. ლორთქიფანიძეს.

ტიც. ტაბიძე.

—:—

ამხ. **პ. ჩხიკვაძის** გამოწვევით სოფლის ბიბლიოთეკებისათვის შემომაქვს 25 წიგნი და ვიწვევ: ამხ. ი. ფანცხავას, შ. დუდუჩავას, კიტა მეგრელიძეს და ალი არსენიშვილს.

სიმ. ჩიქოვანი.

ამხ. **პ. ჩხიკვაძის** გამოწვევით სოფლის სამკითხველოებისათვის შემომაქვს 25 წიგნი და ვიწვევ ამხანაგებს: ალ. სულავას, ირ. აბაშიძეს, გ. კაჭახიძეს, ბ. ჩხეიძეს, მიხ. ჩიქოვანს, პლ. კეშელავას, გ. ქუჩიშვილს, ჰ. მ. საყვარელიძეს, ვ. რუხაძეს. (ქუთაისიდან) პეტრე ბახტურიძეს, შ. ასათიანს, ვლ. იამანიძეს.

კონ. ლორთქიფანიძე.

—:—

ამხ. **ლევან ასათიანის** გამოწვევით შემომაქვს 30 წიგნი და ვიწვევ: **კონსტ. ჭიჭინაძეს** და **ვიქტორ გაბესკირიას.**

აკ. გაწერელია.

მწერლები გაურბიან მუშათა კლუბებს

თბილისის მუშათა კლუბებმა, რამოდენიმე გამოკლებით უკვე დაამთავრეს სამზადისი ზაფხულის სეზონისათვის და მუშაობაც დაიწყეს.

მხოლოდ მთელ რიგ დაბრკოლებათა გამო, ჯერ კიდევ არ დაუწყიათ საზაფხულო მუშაობა — ამხ. ბ. მახაძის სახელობის და აღმშენებელთა კლუბებს. აღნიშნულ კლუბებში სწარმოებს საზაფხულო პავილიონების შენება, რაც საამშენებლო მასალების მოუმარაგებლობის მიზეზით ჭიანურდება. ვოროშილოვის სახელობის და სტალინის სახელობის რაიონულმა კლუბებმა სეზონი გახსნეს დიდი წარმატებით. ვოროშილოვის კლუბის მთელი მომავალი საზაფხულო მუშაობა ჩატარებული იქნება ქვეყნის თავდაცვის უნარიანობისათვის ბრძოლის გაძლიერების ნიშნის ქვეშ. სტალინის სახელობის კლუბმა კი საზაფხულო მუშაობის მთავარ ლოზუნგად გამოაცხადა ტეხნიკის დაუფლებისათვის ბრძოლის გაძლიერება.

მთავარი სიძნელე, რაც წინ ეღობებათ მუშათა კლუბებს — არის საესტრადო და სამხატვრო ძალების სიმცირე. განათლების კომისარიატის ხელოვნების კომიტეტი და საქფილმი, რომლებიც მოწოდებული არიან, უზრუნველყონ მუშათა კლუბები სამხატვრო ძალებით, ვერ იჩენენ საჭირო უნარს.

თბილისის მუშათა კლუბებში სანახაობები და კონცერტები, საესტრადო წარმოდგენები წელს მოეწყობა მხოლოდ სხვა ქალაქებიდან მოწვეულ ძალებით.

ადგილობრივ ძალების გამოყენებისათვის აღნიშნულ ხელოვნების კომიტეტს და არც „საქფილმს“ არ უზრუნვია და არც ფიქრობს. ეს გარდა იმისა, რომ მოითხოვს დიდ ხარჯებს, შეუძლებელს ხდის ჯანსაღ და თემატიურ მუშაობის წარმოებას კლუბებში.

ქართულ ესტრადის ჩამოყალიბებისათვის „საქფილმს“ ჯერ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს. ადგილობრივ ძალების გამოყენებაზე ხელის აღება და გასტროლიორებით ასე „გატაცება“ არაფრად არ შეიძლება გამართლებული იქნეს.

აგრეთვე სრულებით არაფერია ჯერ გაკეთებული კლუბების მუშაობაში ჩასაბმელად. ამაში უწინარეს ყოვლისა ბრალი მიუძღვის მწერალთა ორგანიზაციებს და თვით მწერლებს.

პროფსაბჭოს კულტსექტორს განზრახული ჰქონდა, რომ მწერლებთან ერთად გამოემუშავებია კლუბებში თემატიური ლიტერატურული საღამოების ჩატარების გეგმა, მაგრამ ამ საკითხის მოსაგვარებლად დანიშნული თათბირი არ შედგა მწერალთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა გამოუცხადებლობის გამო, და... პროფსაბჭოს კულტსექტორმაც განზრახვაზე ხელი აიღო.

მთელ რიგ მუშათა კლუბებში ჩამოყალიბებულია ლიტერატურული წრეები, „რომლებიც მწერალთა ორგანიზაციების მიზეზით დაშლის გზაზე არიან. სტალინის სახ. კლუბში ჩამოყალიბებულ ლიტწრეში ირიცხება 60 მუშა-მელითონე. წრე უკვე იშლება, რადგან მასზე მიმაგრებული მწერლები არ ცხადდებიან სამეცადინოთ.

ვოროშილოვის კლუბში, ამას წინათ გაიმართა **კ. ლორთქიფანიძის** ნაწარმოების— „პირველი დედა“-ს ლიტერატურული გასამართლება, რომელიც კლუბთან არსებული ბიბლიოთეკის ინიციატივით მოეწყო. გასამართლებაზე მოიწვიეს ავტორი, მაგრამ იგი არ გამოცხადდა, მიუხედავათ იმისა, რომ ავტორმა ეს იცოდა, იცოდა ისიც, რომ გასამართლებას ესწრებოდნენ წარმოებათა მუშები.

მწერალთა მხრით მუშათა კლუბებისადმი ასეთ დამოკიდებულებას სასტიკად უნდა შევებრძოლოთ.

მუშათა კლუბების საქმიანობაში მწერალთა ჩასაბმელად და მისაზიდათ არ კმარა პროფსაბჭოს კულტსექტორის მიერ მარტო ერთი სხდომის მოწვევა და ამით დაკმაყოფილება.

როგორც საქ. პროფსაბჭოს კულტსექტორმა, ისე, „საქფილმა“, მწერალთა მუ[illegible] კლუბებში უნდა მიიჩნიონ აუცილებ[illegible] ჭიროებად და ამ მიზნით შე[illegible] რომლებიც შეუქმნან მწერლ[illegible] რიგში კი თვით მწერლებმ[illegible] დონ ერთ-ერთ მთავარ[illegible] მუშაობა.

საჭიროა მწერლების [illegible] ითაოს უმთავრესად ამ საკით[illegible] ციულად მოგვარება.

ჰ და ს ზმნებში ხმარების ნორმის დადგენისათვის

(პროფ. ა. შანიძის მოხსენების გამო)

ყოველ კულტურულ ენას აქვს მართლწერის სავალდებულო ნორმები.

უდიდესი ნაკლი ახალი ქართული სალიტერატურო ენისა ის იყო და არის, რომ მას ასეთი სავალდებულო ნორმები ჯერ კიდევ დადგენილი არ აქვს.

ეს ამბავი მით უფრო სამწუხაროა, რომ იგი სრულიად არ შეეფერება ისეთ ენას, როგორიც არის ქართული, რომლის უძველესი ძეგლებიც კი ერთფეროვანი მართლწერის ნიმუშს წარმოადგენენ.

მაგრამ არის მრავალი ამის გასამართლებელი მიზეზიც.—ჩვენს ახლო წარსულში: სახელმწიფოებრივ - პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული (მე-18 და 19 საუკ.). მე-19 საუკუნეში კიდევ კილოების სიჭარბემაც ამ მხრით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. საქმე ის არის, რომ ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან საერთო აღორძინებას ისიც მოჰყვა, რომ ეს კილოები თავიანთ საზღვრებს გასცილდნენ და სალიტერატურო ენისაკენ გზა გაიკაფეს. ეს ის დრო იყო, როცა სალიტერატურო ენას ძველი ნორმები დაკარგული ჰქონდა და იგი ახლად იქმნებოდა. თითოეული კუთხის მწერალს მასში თავისი, კუთხური ელფერი შეჰქონდა.—ი. ჭავჭავაძე - ა. წერეთელი. ყაზბეგი - კლდიაშვილი - ნინოშვილი. აუცილებელი იყო არევ-დარევა.

მე-20 საუკუნე კი უდიდესი გარდატეხის საუკუნეთ მოევლინა საქართველოსაც. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ გარდატეხამ ქართულ ენას ის ატრიბუტი დაუბრუნა, რომელიც მას მე-18 და 19 საუკ. ისტორიამ წაართვა.—ის სახელმწიფო ენად გამოცხადდა.

ამ პირობაში არეულ-დარეული მართლწერა აბსოლუტურად შეუწყნარებელი შეიქნა:—ქართული ენა გახდა სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის, დაბალი, საშუალო და უმაღლესი სწავლა-განათლების, სამეცნიერო და მრავალი სხვა დაწესებულებების და სხ. და სხ. ენა. საჭირო შეიქნა ამ ენაზე სასკოლო სახელმძღვანელოების და სამეცნიერო წიგნების შედგენა. მასობრივი პოლიტიკური ლიტერატურა. მასობრივი მხატვრული მწერლობა. ათასი მწერალი. ათასი პოეტი.

არა, როგორ შეიძლება იმ ენას, რომელზედაც ამდენი ამბავი ტრიალებს, მართლწერის ჩამოყალიბებული, ყველასათვის სავალდებულო და სრულიად გარკვეული ნორმები არ ჰქონდეს?—მით უმეტეს, ეს თითქოს შედარებით სხვა ენებთან ადვილად მოსაგვარებელი საქმეა, რადგანაც ქართული სიტყვა ხომ ისე იწერება, როგორც გამოითქმის.

ისე იწერება, როგორც გამოითქმის, მაგრამ უბედურებაც სწორედ ის არის, რომ სხვადასხვანაირად გამოითქმის და აქედან არის, რომ სხვადასხვანაირად იწერება.—მიუხედავად იმ ცდებისა, რომლებიც გვქონდა მე-19 საუკ. და უკანასკნელი დროის განმავლობაში ერთფეროვანი მართლწერის შემოღებისათვის ლიტერატურაში, საბოლოოდ მაინც ერთნაირი მართლწერა ვერ მივიღეთ: არსებულმა კილოებმა პირდაპირ საკვირველი შეურიგებლობა გამოიჩინეს—აღმოსავლეთით ქართლურ-კახურისა და დასავლეთით კი იმერულ-გურულის მეთაურობით. ორივე შეურიგებლობა ახასიათებს მათ ერთგულ აგენტებსაც ლიტერატურაში — მწერლებს, რომლებიც შეგნებულად თუ შეუგნებლად თავიანთი კუთხური გამოთქმის სამკაულებს არ ზოგავენ და მწერლობაშიც შემოაქვთ.

განსაკუთრებულად დაუძლეველი შეიქნა ორი ბგერის ჰ და ს ხმარების მოწესრიგება ზმნებში.

და პროფ. ა. შანიძის მოხსენებაც მწერლების სახლში ამ ასოების ხმარების ნორმის დადგენისათვის სწორედ დროულად უნდა ჩაითვალოს.

მით უფრო დროულად, რომ ამ საქმის საბოლოოდ მოგვარება ახლა უკვე ენათმეცნიერებას ევალება, სათანადო კვლევაძიებაზე დამყარებულს. ის დრო, როცა გრამატიკული ფორმების ჩამოყალიბების საქმეს თვითონ მწერლები უძღვებოდენ, წარსულს უნდა მივაკუთვნოთ, როცა ენათმეცნიერება ჩვენში ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ განვითარებული და მეცნიერული ავტორიტეტით აღჭურვილი.—ახლა კი სულ სხვა სურათი გვაქვს.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ „ენისა და ტერმინოლოგიის კომისიის მუშაობა სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის დიდად მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მხოლოდ ლიტერატურული თვალსაზრისით, იგი მნიშვნელოვანია აგრეთვე, როგორც უაღრესად სახელმწიფოებრივი საქმეც.

ის გარემოება, რომ ამ კომისიას უკვე აქვს მიღწევა და აგრეთვე ისიც, რომ მასში ქართული ენათმეცნიერების საუკეთესო ძალები მუშაობენ, იმის საკმაო გარანტიას წარმოადგენს, რომ კომისიის ავტორიტეტი საკმაოდ განმტკიცდეს როგორც ფართო საზოგადოებაში, ისე იმ წრეებშიაც, რომლებიც ჩვენში სალიტერატურო მუშაობას აწარმოებენ.—ავტორიტეტი-მეთქი ვამბობ, რადგანაც გარეშე ამისა, დავას ახლაც დასასრული არ ექნება: სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არის ისეთი მდგომარეობა, რომ თითოეულ ჩვენთაგანს მხოლოდ საკუთარი თავის ავტორიტეტი სწამს და სხვა ავტორიტეტის ცნობა მომაკვდინებელი ცოდვა ჰგონია, თავის დამცირებად მიაჩნია.

მართლწერის ნორმების დამუშავება, დადგენა უთუოდ ენათმეცნიერების კომპეტენციაში შედის. ამის უარყოფა არ შეიძლება. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მწერლები ამ საკითხში უხმოდ უნდა დარჩენ. როგორც პირადი დაკვირვებისა და გამოცდილების მხრით, ისე ცოცხალი მასალის მიწოდების მხრითაც მწერლების როლი მეტად თვალსაჩინო და დიდია. მაგრამ მართლწერის კანონების დამდგენი მაინც ენათმეცნიერებაა. იმიტომ, რომ —და ეს ელემენტარული ამბავია—მართლწერის ნორმებს უწინარეს ყოვლისა მეცნიერული დამუშავება სჭირია, საგნის მეცნიერული გამოკვლევა.

ეს უდავო და ელემენტარული დებულება მე აქ იმისათვის მოვიტანე, რომ ეჭვი მაქვს: იქნება, ჩვენში არიან ისეთი მწერლები, რომლებიც გულწრფელად და სერიოზულად ფიქრობენ, რომ რაკი ისინი მწერლები არიან, წერის ყველა ამბავი მხოლოდ მათ ეკითხება და სხვას არავის, რომ გრამატიკული ფორმების დამუშავებაც კი მათი საქმეა და სხვ.—ეს იმას ჰგავს, რომ ენათმეცნიერებმა განაცხადონ: რადგანაც ჩვენ ენა ზედმიწევნით ვიცით, მეცნიერულად შეგვისწავლია, განზე გადექით, მწერლებო, მოთხრობებისა და ლექსების წერა ჩვენ დაგვანებეთო... ეს ძალიან სასაცილო იქნებოდა. არა ნაკლებ სასაცილო ამბად უნდა ჩაითვალოს მწერლის განცხადებაც: რადგანაც მე მოთხრობას და ლექსს კარგად ვწერ და ენაც კარგად ვიცი, ვინ არიან ეს ენათმეცნიერები, მართლწერის ფორმების შემუშავება და დადგენა ჩემს უფლებას უნდა შეადგენდეს...

პროფ. ა. შანიძის მიერ წარმოდგენილი პროექტი ჰ და ს ხმარების ნორმისა იმ მხრით არის საყურადღებო, რომ ის პრაქტიკულ გამოსავალს იძლევა იმ ანარქიულ მდგომარეობიდან, რომელიც კარგა დიდი ხანია შექმნილი ჩვენს სალიტერატურო ენაში აღნიშნული ბგერების უწესრიგო ხმარებით.—ეჭვს გარეშეა, რომ ამ ბგერების ხმარების მოუწესრიგებლობა და ამით გამოწვეული არევ-დარევა და დავა ყველაზე უფრო ააშკარავებს ისეთი გარკვეული ნორმის დადგენის აუცილებლობას, რომელიც განსაზღვრულ ადგილს მიუჩენს ამ ასოებს და ბოლოს მოუღებს მათ თვითნებურ ხმარებას ან მათ თვითნებურვე უარყოფას.

წინადაც იყო არა ერთი ცდა ასეთი ნორმის დაწესებისა, მაგრამ სინამდვილეს არც ერთი არ გაუმართლებია. ამის მთავარ მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ეს ცდანი ერთ რომელსამე კილოს ემყარებოდენ განსაკუთრებულად, ხოლო დანარჩენებს უგულებელს ჰყოფდენ. მეცნიერულ სინტეზს მოკლებული იყვნენ.

პროფ. შანიძის პროექტს ის ღირსება აქვს, რომ იგი არ ემყარება განსაკუთრებულად ერთ რომელსამე კილოს, მაგრამ ყველა კი გამოყენებულია იმ ბუნების ზუსტად შესაცნობად, რომელიც ახასიათებს ჰ და ს ზმნების ფორმების წარმოების დროს. პროექტი გვაძლევს ერთგვარ სინტეზს: კახურისა და იმერულ-გურულის, როგორც ორი უკიდურესობისა, და ქართულის, როგორც ზომიერი, შემარიგებელი ხაზის ამ ორ მთავარ უკიდურესობას შორის. გარდა ამისა, იგი შეფარდებულია სალიტერატურო ენის განვითარებასთან.

ემყარება რა ამ საფუძვლებს, პროექტი შესაძლებლად სცნობს ჰ და ს ორ ფუნქციას ნაცვლად (ა. მეორე პირის სუბიექტის გამოხატვა, ბ. მესამე პირის ირიბი ობიექტის გამოხატვა) მხოლოდ ერთი შევინარჩუნოთ,—მესამე პირის ობიექტის გამოხატვა.

რეფორმის მთელი არსება ამაში გამოიხატება.

იმ მთავარი არგუმენტებიდან, რომლებიც ა. შანიძემ წარმოადგინა, მე აღსანიშნავად მიმაჩნია შემდეგი:

კახურსა და მთის ცოცხალ კილოებში ჰ და ს ორსავე აღნიშნულ ფუნქციას ახლაც ასრულებენ.

სამაგიეროდ **დასავლეთის კილოები (იმერულ - გურული) არც ერთისა და არც მეორის ასრულებას ამ ბგერებს არ აკისრებენ;** ამ კილოებში ისინი სრულიად დაკარგულია.

ხოლო **ქართლულში ზოგან პირველი ფუნქცია** (მეორე პირის სუბიექტის გამოხატვა) ჰ და ს **დაკარგული აქვს,** მაშინ, როდესაც **მეორე** (მესამე პირის ობიექტი) **ყველგან შენარჩუნებული აქვს.**

პროექტიც ამ უკანასკნელი ხაზით მიდის, და, მაშასადამე, ქართული, როგორც ძირეული სალიტერატურო ენისათვის, ახლაც უცვლელად რჩება, მხოლოდ მისი განვითარების ტენდენცია (საშუალო ხაზი) პროექტში მოცემულია დამთავრებული სისტემის სახით.

ამ თვალსაზრისით პროექტი ძირითადად მისაღებია.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სავალდებულო ერთფეროვანი მართლწერის შემოღება გადაუდებელი საქმეა, საჭიროა იგი სასწრაფოდ გამოქვეყნდეს, როგორც სახელმძღვანელო ნორმა ჰ და ს ზმნებში ხმარებისას.

მე ძალიან ადვილად მოსამარჯვებლად მიმაჩნია ის უბრალო წესიც, რომელიც ა. შანიძეს გამოუნახავს ჰ და ს სწორი ხმარებისათვის. ის უთუოდ გააადვილებს აღნიშნული ნორმის შეთვისებას და მის დაცვას წერის დროს. ამას უნდა დაერთოს რამდენიმე გამონაკლისიც განსაკუთრებული შემთხვევებისათვის, როცა ნორმის ზუსტი დაცვა აშკარად ავნებს ენის კეთილხმოვანებას ან სხვა რამე მოსაზრებით მისგან განხრის საჭიროება იქნება ცნობილი.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა მოხსენების შემდეგ გამართულ კამათის შესახებ.

კამათი რამდენიმე საღამო გაგრძელდა. საკმაოდ გამწვავდა კიდევაც. ჩემის აზრით გამწვავების მიზეზი ის იყო, რომ მომხსენებელმა თავისი პროექტის დასაცავად საკმაოდ დამაჯერებელი საბუთები წამოაყენა, რომლების გაბათილება მოწინააღმდეგებმა ვერ შესძლეს, რადგანაც ასეთივე ხასიათის საბუთები მათ არ აღმოაჩნდათ.

ლეო. ქიაჩელი

დ. ვოლსკი

პ. ჩხიკვაძე—„სართულები“

„სართულები“ პ. ჩხიკვაძის პირველი სერიოზული ლიტერატურული ნაწარმოებია. ეს მომენტი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავიწყებული იქნეს აღნიშნული ნაწარმოების გარჩევის დროს. სამწუხაროდ, ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა, რომლის უმთავრეს დამახასიათებელ თვისებას დღევანდლამდე საერთო ფრაზებით მსჯელობა შეადგენდა, და მასალის კონკრეტული შეფასებისაგან თავის არიდება, ზერელედ მიუდგა „სართულებსაც“ და თითეული კრიტიკოსის დამოკიდებულება პ. ჩხიკვაძისადმი იცვლებოდა პროლეტარულ მწერალთა რიგებში ძალთა გადაჯგუფების მიხედვით. მაგალითად, თუ ამხ. დ. ბენაშვილი რამოდენიმე ხნის წინად, მაშინ, როცა პ. ჩხიკვაძე ეკუთვნოდა საქ. პროლ. მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელ ჯგუფს, შედარებით კარგად ხედავდა „სართულების“ ნაკლსა და დადებით მხარეებს, სამაგიეროდ შემდეგ, გაერთიანდნენ თუ არა პ. ჩხიკვაძე და დ. ბენაშვილი ერთ შემოქმედებითი ჯგუფში, „სართულები“ ამხ. ბენაშვილის მიერ გამოცხადებული იქნა პროლეტარულ მწერლობის მაგისტრალურ ხაზად, პროლეტარული ბელეტრისტიკის სათავედ. გამოდის, რომ ღმერთი ერთია და მაგომეტი მისი მოციქული. საინტერესოა, სად გააქრო ამხ. ბენაშვილმა დანარჩენი პროლეტარული მწერლები?

ამგვარად, ამხ. ბენაშვილის „დეკრეტით“ პ. ჩხიკვაძის შემოქმედებითი მეთოდი დაკანონებულია ბითუმად, რომელსაც თურმე უნდა გაჰყვეს ჩვენი მწერლობა.

ცხადია, „სართულების“ ასეთი გადაფასება უფრო ჩქარა დათვურ სამსახურის გაწევაა, ვიდრე კრიტიკისაგან ავტორის შემოქმედებითი ზრდისათვის ხელის შეწყობა.

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილება სალიტერატურო სამხატვრო ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ, მარქსისტულ სალიტერატურო კრიტიკას ავალებს განსაკუთრებული სერიოზულობის გამოჩენას თითეული ლიტერატურული ფაქტის განხილვისას, კერძოდ, დაგმობილი უნდა იქნას ჯგუფური ინტერესებიდან გამომდინარე რომელიმე მწერლის, როგორც ხელოვნური აყვანა დაუმსახურებელ სართულებზე, ისე მეორე უკიდურესობაც, რაიც გამოიხატება შემოქმედებითი ფაქტის დადებითი მხარეების შეგნებულ მიჩქმალვასა და უპასუხისმგებლო ეპიტეტების მიკვრაში. ორივე ეს უკიდურესობა აყალბებს მარქსისტული კრიტიკის დანიშნულებას და ზოგიერთ ისეთ მწერალს, რომელშიც არის სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობის მიღების ტენდენციები, ერთი ხელის მოსმით, ყოველგვარი პოლიტიკური წინდახედულობის გარეშე ხელოვნურად ათავსებს მტრების ბანაკში.

ავერბახის და მისი თანამოაზრეთა შემცდარი ლოზუნგი: **„ან მტერი—ან მოკავშირე“**—ჩვენს პირობებში დღემდე ცოცხლობს, რითაც საგრძნობლად ფერხდება თანამგზავრ მწერლების ჩვენთან დაახლოების პროცესი. თვითკრიტიკის წესით უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ ნაწილობრივი დანაშაული ჩვენ პრესასაც მიუძღვის, რომელიც ხშირად ადვილად აძლევს ადგილს ისეთ „კრიტიკოსს - ენტუზიასტებს“, რომლების ერთად-ერთი პრინციპია მაგარი სიტყვებით და უადგილო ეპიტეტებით საკუთარი აზრების დაკანონება და არა რაიმეს დასაბუთება.

დაუბრუნდეთ პ. ჩხიკვაძის **„სართულებს“**. ვიმეორებთ, არც ერთ ჩვენს კრიტიკოსს არ შეუფასებია ის კონკრეტულად, არ განუხილავს „სართულები“ პოლიტიკური თვალსაზრისით. „სართულების“ შესახებ შემუშავდა ორი დებულება: ის ან ბოლშევიკური ბელეტრისტიკის საწყისია, ან კიდევ სულ უბრალო, ნაწარმოები. მაგრამ რაში მდგომარეობს ამ ნაწარმოების დადებითი და უარყოფითი მხარეები—ამაზე ძლიერ ცოტა ითქვა.

„სართულები“ საწარმოო რომანია, რომელშიც ავტორმა მაუდის ფაბრიკის აგების კონკრეტულ მაგალითზე მოგვცა სოციალისტური მშენებლობის სურათი გამწვავებული კლასიური ბრძოლის პირობებში.

„სართულების“ ავტორის მთავარ ღირსებათ უნდა ჩაეთვალოს ჩინოვნიკური ოპტიმიზმისა და თვითკმაყოფილებისაგან თავის დაღწევა. მას კარგად აქვს შეთვისებული, რომ სოციალისტური მშენებლობის ყოველ დარგში ადგილი აქვს შეურიგებელ კლასიურ ბრძოლას. კლასიური მტრის წინააღმდეგობის სხვადასხვა ფორმების გამოყენებით ცდილობს ძირი გამოუთხაროს მუშათა კლასის დიქტატურას. მავნებლობა კლასიური ბრძოლის ერთ-ერთი გამოხატულებაა. განსაკუთრებით „სართულები“-ს დაწერის პერიოდში (1930 წ.) „საქმე ჩვენთან იმაში მდგომარეობდა, რომ ძველი ტეხნიკური ინტელიგენციის კვალიფიცირებული ნაწილი დაავადებული იყო მავნებლობით. კიდევ მეტი, მაშინ მავნებლობა წარმოადგენდა ერთგვარ მოდას“ **(სტალინი).**

„სართულებში“ მავნებელი მელიქოვი, რომლის შავი წარსული ნათლად განსაზღვრავს მის დღევანდელ მოქმედებას, მარტო არ არის. მას მჭიდრო კავშირი აქვს გაკოტრებულ და გახრწნილ მენშევიკური პარტიის ნამსხვრევებთან, ევროპის იმპერიალისტების ჯაშუშებთან.

პ. ჩხიკვაძე სრულიად სამართლიანად არ მოერიდა კლასიური მტრების შემოპარული აგენტების გამომჟღავნებას კომუნისტური პარტიის რიგებშიც. ასეთია, მაგალითად, პოლოსოვი, დაშნაკური პარტიის ყოფილი წევრი, წარსულში კომუნისტების ჯალათი, შემდეგ კი პარტიის რიგებში შემომძვრალი და თბილ ადგილზე—სამშენის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე წამოსკუპებული. თვით მაუდის ფაბრიკის მშენებლობაზეც არის პოლოსოვის მოკავშირე ბარბაქაძე, ისიც ფორმალურად კომუნისტი, მხოლოდ ნამდვილად ყოფილი ჩაფარი და ეხლა მავნებლების იარაღი. კლასიური მტრის ყველა ეს ძალები შეერთებულად ებრძვიან, ყველა მათთვის მისაწვდომი საშუალებებით, სოციალიზმის გამარჯვების საქმეს. მიუხედავად ამისა, მუშათა კლასის ძლევამოსილი შეტევა, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, შეუჩერებლად გრძელდება. ეს არის „სართულების“ მთავარი ხაზი.

„სართულებში“ ავტორი გარკვევით მატარებელია განსაზღვრული კლასის მსოფლმხედველობის და მასში დასმული თითეული პრობლემის გადაჭრაში ის აქტიურად მონაწილეობს. ამ ღირსებას ვერავინ წაართმევს „სართულების“ ავტორს. მაგრამ ამავე ნაწარმოებს აქვს მთელი რიგი შეცდომები და ყალბი ადგილები, რომლებიც ამახინჯებს რომანის მთავარ ხაზს.

„სართულებში“ სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელი კომუნისტური პარტია წარმოდგენილია გრიგოლ გიგაურის სახით, რომლისათვის თავისი კლასის მიერ დაკისრებული საქმე, თითქოს, ყველაფერზე მაღლა დგას.

გიგაური მართლაც დაუღალავი მუშაკია, მოკლებული პირად ინტერესებზე ზრუნვას. მხოლოდ, ჩვენი ღრმა რწმენით, ის სრულებით არ არის ბოლშევიკის იდეალური ტიპი. ავტორის პირველი შეცდომა მდგომარეობს გიგაურის მოხაზვაში ასპროცენტიან კომუნისტად.

პ. ჩხიკვაძე ასცდა ი. ლიბედინსკის **„გმირის დაბადების“** ფსიქოლოგიური ჩიჩქნის მეთოდს, მაგრამ გადავარდა მეორე უკიდურესობაში და კომუნისტი გიგაური მოგვცა სქემატიურ ხაზებში. თვით ავტორის განსაზღვრით გიგაური მშრალი და მეტის-მეტად პუნქტუალური პიროვნებაა. „გიგაური მტკიცეა ოჯახში, მტკიცეა დაწესებულებაში... ცეკაში, კომისიებში, გამგეობაში, პირად ცხოვრებაში და... ოცნებაშიც კი...“.

არის ნამდვილად გრიგოლ გიგაური სამაგალითო კომუნისტის ტიპი? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა. თუ დავაკვირდებით გიგაურს „სართულები“-ს მთელ მანძილზე, ავიღებთ მას სამუშაოზე, პირად ცხოვრებაში“, საკუთარ ფიქრებში—მივიღებთ უფრო ჩქარა კარგ ადმინისტრატორს, აქტიურ საქმოსანს, ვიდრე ხელმძღვანელს, კარგ ამხანაგს და ფხიზელ კომუნისტს. გიგაურში ადმინისტრატიულობასთან ერთად ბევრია „მემარცხენე“ ნიჰილისტური განწყობილებანი.

მოვიყვანოთ გიგაურის მსჯელობა თავის თავთან ქუჩებში ვიტრინების დათვალიერების დროს:

„ვაჭრობა, რომ ვისწავლეთ, ეს უდაოა. ფიქრობდა გიგაური. მაგრამ საკვირველია, ვის ესაჭიროება ამდენი კოსმეტიკა, ამდენი სალებავები და რაღაც ფხვნილები. ოდეკოლონი ჰო, ჰიგიენის თვალსაზრისით სადეზინფექციო საშუალებაა, და მასთან ფართო ფუფუნების დანიშნულებას მოკლებული. მაგრამ ეს დუხები, ფლაკონი შვიდ-რვა თუმნად რომ ფასობს—ეს ვისთვის არის საჭირო და ხელმისაწვდომი?.. თუმცა დროთა ვითარებაში იცვლება საზოგადოებრივი აზრი და ადამიანის გემოვნებაც, მაგრამ ეს ხომ მეშჩანური სულისკვეთების განმტკიცებას უდრის? ეს ხომ თავისებური „ჭაობია“ და ყოფაცხოვრების აქოთებული მორევია, რომელშიც ხშირად სუსტი ნების ზოგიერთი ჩვენი ამხანაგიც კი ადვილად იძირება... ზოგჯერ „მისაბაძიც“ ხდება მის გარშემო მყოფთა თვალში, მაგრამ, რას იზამ, ჯერ ერთი, რომ ნეპის ნამსხვრევებია და ამასთანავე დროებით განმტკიცებული შესვენების ხანა“... (გვ. 65).

აი, რას ხედავს კომუნისტი გიგაური საბჭოთა ქალაქის ქუჩებში. საიდან გაჩნდა ეს „ჭაობი“? ისევ თურმე ჩვენგან. მაგრამ რას იზამ, ნეპის ნამსხვრევებია ძალაშია და თან განმტკიცებული შესვენების ხანაა. აქ გიგაური არ მსჯელობს, ეს უფრო ადრე ავტორის აზრებია ჩვენი მდგომარეობის შესახებ. ნუ თუ ნეპის პერიოდი და ისიც 1929—30 წლებში გულისხმობდა ჭაობს. სად წავიდა რეკონსტრუქციის პერიოდი, სოციალისტური შეტევა ყველა ფრონტებზე? ნუ თუ კაპიტალისტურ გარემოცვის პირობებში ჩვენ გვქონდა და გვაქვს განმტკიცებული შესვენების პერიოდი? გიგაური აქ არ ჩერდება. ისინი განაგრძობენ ქუჩაში ფიქრებს და უცბად: „როგორ ჩქარა ჩამოიშორა გალატაკებულმა მოსახლეობამ ბუშლატები და სამხედრო ამუნიციის ნარჩენი თუ ნაძარცვი ტანსაცმელი“. (გვ. 65). ეს მოვლენა ღრმა ფიქრებში აგდებს გიგაურს. აქედან იწყება ისტერიული ყვირილი: „სად არის პროლეტარული კოსტიუმი, სად? მოკავშირენი შემომთოთა მოსახლეობის ჩაცმულობამ და კვლავ მოისმის გიგაურის ძახილი: „მომეცით საბჭოთა კოსტიუმის სტილი... მომეცით პროლეტარული ტანსაცმელი...

მომეცით... მომეცით... მაგრამ...

ჯერ კიდევ ისევ ფრენჩი-გალიფე-ტანგოები და საფრანგეთის მოდაზე, მარკიზების გემოვნების მიხედვით დათარგული ტანსაცმლები ფარავს მრავალ მილიონიანი პროლეტარიატის სხეულებს“ (გვ. 67).

როდესაც ამ სტრიქონებს კითხულობ, უნებურად გაგონდებათ ამხ. **სტალინის** საუბრის შემდეგი ადგილი გერმანელ მწერალ **ემილ ლიუდვიგთან:** „ისეთ სოციალიზმს, რომ ყველა ადამიანები ღებულობდენ ერთნაირ ხელფასს, თანასწორი რაოდენობის ხორცს, თანასწორი რაოდენობის პურს, ატარებდენ ერთნაირ ტანსაცმელს, ღებულობდენ ერთსა და იმავე პროდუქტებს, თანასწორი რაოდენობით—ასეთ სოციალიზმს მარქსიზმი არ იცნობს“.

სოციალისტური წუთისოფლება რომ თავის სტილს შეიტანს ტანსაცმელშიც, ეს უდაო ჭეშმარიტებაა, მაგრამ რა საჭიროა ისტერიკა და ტირილი ბუშლატების მოცილების გამო. ამას გარდა, რომელ მილიონიან პროლეტარიატის სხეულებს ფარავს მარკიზების გემოვნების მიხედვით დათარგული ტანსაცმლები? ყოფა-ცხოვრებითი ნიჰილიზმის ეს პერიოდი ჩვენ კარგი ხანია გავვლეთ. მორჩა ის დრო, როცა გალსტუკი ბურჟუაზიული ჩამომავლობის მანდატი იყო და პროლეტარული ტანსაცმლის სტილად ბუშლატები და ფართო ტოტებიანი შარვალი ითვლებოდა.

როგორც ვხედავთ, გიგაურს საკუთარ თავთან მსჯელობაში ჩვენ დღევანდელ სინამდვილეზე აკრავს ტროცკისტული მუქი რალობის ყალბი „მემარცხენე“ ელფერი.

როგორია გიგაური ოჯახში? აქაც მოსჩანს მშრალი ადმინისტრატორი. ჩვენთვის მიუღებელია ობივატელი, რომელიც ოცნებობს მყუდრო ოჯახზე, ჭამასა და აგარაკზე. მაგრამ ცუდი კომუნისტია ის, ვინც გვერდს უვლის ოჯახის პრობლემას. ვინაიდან ოჯახთან დაკავშირებულია არა მარტო მამაკაცის და ქალის დამოკიდებულება, არამედ ისეთი მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციის შესრულება, როგორიც არის მომავალი თაობის აღზრდა. გიგაურს ყავს ცოლი ლუარა, გამოსული მეშჩანური წრიდან, ყავს აგრეთვე მცირეწლოვანი ვაჟი, რომელიც იმყოფება ჩვენთვის უცხო ადამიანთა ხელში. ამას კომუნისტი გიგაური ამჩნევს მაშინ, როცა მის ოჯახში ინტერნაციონალის მაგივრად მენშევიკურ ჰიმნს—„დიდებას“ უკრავენ. რა ზომებს ღებულობს ამის საწინააღმდეგოდ ბოლშევიკი გიგაური? იმუქრება ლუარას მისამართით: „ლუარა! გაიგონე ხმა. მეორეჯერ არ გაბედო, თორემ იცოდე... გესმის, ინანებ“. (გვ 48), განუწყვეტლივ უწოდებს მას მეშჩანკას და შეუძლებლად მიაჩნია მისი გარდაქმნა. ვინაიდან — „უნაყოფო ყოფილა ყორანის ქვიშით ხეხა და რაიმე მიზნის მიღწევა... უფრო ჩქარა ხელის გული გაიხეხება და გატყავდება, სანამ ყორანი გათეთრდებოდეს“ (გვ. 52).

თუ გავითვალისწინებთ ლუარასავურ ცოლების რიცხვს პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და საერთოდ სოციალიზმის აქტიურ მშენებელთა ოჯახებში, მაშინ ნათელი გახდება ცოლების აღზრდის საქმეში გიგაურისა და ავტორის მიერ ყორანის გაუხეხაობის თეორიის წამოყენების უადგილობა.

ცნობილია, რომ აღზრდის ფორმებს შორის ადენს საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა, რომლის გამოყენება ერთხელაც არ უცდია გიგაურს ცოლის გამოსაყვანად მეშჩანურ წუმპედან. თეორია, რომ ყორანი არ გათეთრდება, მაშასადამე, ლუარები განწირულნი არიან და მათ აღზრდაზე ფიქრი ზედმეტია—არის გიგაურის და „სართულების“ ავტორის შემცდარი აზრი. რა გასაკვირია, თუ ამის შემდეგ ბოლშევიკ გიგაურის ოჯახში უკრავენ „დიდებას“, ცოლს ეკავრება დღევანდელი სინამდვილე და რაც მთავარია—გიგაურთან ცხოვრობს მენშევიკური პარტიის ნამსხვრევების ხელმძღვანელი, მისი ძმა ლევანი. პირველ შეხედვით, გიგაური, ვითომ აქტიურია თავის დაწესებულებაში, ის წინასწარვე გრძნობს ზოგიერთ სპეციალისტების და თავის მოადგილის მავნებლობას, ამავე დროს სრული უძლურია, ოჯახში და სიფხიზლეს მოკლებული. მან ვერ შეამჩნია საკუთარი ძმის კონტრრევოლუციონური სახე. გრიგოლ გიგაური ლუარას შეკითხვაზე—არსებობს თუ არა განსხვავება ოჯახის წევრებსა და გარეშე ადამიანებს შორის — უპასუხებს: „არსებობს... მხოლოდ არსებობს ზოგჯერ იმ განსხვავებით, რომ ოჯახი თავშესაფარი ხდება ყოველი ჯურის“... (გვ. 48). გიგაური აქ გულისხმობს თავის ძმას ლევანს. რომელშიაც მას თითქო ეჭვი ეპარება. ამასაც რომ თავი დავანებოთ, „სართულების“ ავტორი თვითონ გვეუბნება დაჭრილ ლევანის წერილში კომუნისტ ძმისადმი: „...ვწუხვარ, რომ საბრალო ჩემი ცოლშვილი პარიზში ვერც კი შეიტყობს ჩემი დაღუპვის ნამდვილ ისტორიას“... (გვ. 196). მაშასადამე, ვინ არის ლევან გიგაური? ყოფილი ემიგრანტი, ყოველ შემთხვევაში, გამოვლინებული მტერი, კომუნისტ ძმის ჭერ ქვეშ შემალული, რომელსაც ცოლშვილი ემიგრაციაში ყავს. დაუჯერებელია, რომ გრიგოლ გიგაურს ეს ფაქტი არ სცოდნოდა. ალბად აქედან წარმოიშვა მისი მტრული განწყობილება მენშევიკ ძმისადმი. მიუხედავად ამისა, ლევანის სიკვდილამდე გიგაურისათვის გამოუმჟღავნებელი დარჩა ძმის კონტრ-რევოლუციონური მოღვაწეობა. ამას ეძახიან ჩვენებურ ენაზე სიფხიზლის დაკარგვას, სიბეცეს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ გიგაური აქტიური საქმოსანია — „მემარცხენე“ განწყობილებით და არა ნამდვილად მტკიცე და მასთან ფხიზელი ბოლშევიკი. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ პ. ჩხიკვაძე სამართლიანად შეშინებული ლიბედინსკის „გმირის დაბადების“ გაღრმავებული ფსიქოლოგიზმით ნაწილობრივ მოხვდა „რაციონალური“ ადამიანის ლეფური ლოზუნგის ტყვეობაში, სადაც „ფსიქიური სფერო, ყველა გრძნობები და განცდანი მთლიანად და ყოველგვარი ნარჩენების გარეშე დამორჩილებულია გონებისადმი“.

„სართულები“-ს ავტორი სავსებით სწორად იძლევა საქ. მენშევიკური პარტიის ნარჩენების დახასიათებას. პარტია, რომელიც დიდი ხანია გადაიქცა კონტრ-რევოლუციონურ ძალად და იმპერიალისტების დაქირავებულ ჯაშუშად, ამჟამად ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ წვრილი ბურჟუაზიის გახრწნილ ფენებს. ლევან გიგაური თავისი თანამებრძოლებით სწორედ ასეთი ფენების წარმომადგენელია. მიუხედავად ამისა, კლასიური მტრის შეუფასებლობა, მისი გამასხარავება ავნებს ჩვენს სიფხიზლეს. პ. ჩხიკვაძეს კი სრულიად გულუბრყვილო წარმოდგენა აქვს კლასიურ მტერზე. ავიღოთ თვით ლევან გიგაური „სართულების“ ავტორის გადმოცემით. ის ხელმძღვანელობს კლასიურ მტრებს, კავშირი აქვს ემიგრაციასთან, შპიონაჟთან და ამავე დროს არის ხეპრე, რომელიც ჩოხა-ახალუხით, ხანჯლით, ქეიფით, „დიდებას“ ჰიმნით თავისი პოლიტიკური კრედოს დემონსტრაციას ახდენს. ჩვენ რომ ასეთ სულელ კლასიურ მტრებთან გვქონდეს საქმე, კლასიური ბრძოლა გამწვავების ნაცვლად ერბოსავით გაცურდებოდა. ავტორის გულუბრყვილობა ამით არ ამოიწურება. მაგალითად, ლევან გიგაური მთელი მავნებლობის ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი ქეიფობს რესტორან „მტკვრის პირზე“. აქ მას აცნობს მავნებელი ინჟინერი მელიქოვის დაპატიმრება.

ყველანი მოიცვა სასოწარკვეთილებამ. იწყება გამოსავლის ძებნა, რადგან მელიქოვს შეუძლია ისინი გასცეს. ამ დროს რესტორანის დარბაზში ლევანი შეამჩნევს ორ-რომბიან ჩეკისტს. მუშათა კლასის მოღალატეების თავში იბადება აზრი, როგორმე მოიყიდონ ორ-რომბიანი ჩეკისტი და ერთი მეორეს მიმართავენ: „შინელს ვერ უყურებთ, ჩეკისტია—დარწმუნებით სთქვა ნოდარმა...

— ჩუმად, არავინ მოგვაყურადოს... რას იტყვით: გამოვა რამე!

— ვცადოთ და... გაბედა ნოდარმა.

— რომ ჩავარდეთ. აიღერა თამაზი,— მაშინ ხომ სულ მთლად დავიღუპებით?“. (გვ. 29).

ამავე ორ-რომბიან ჩეკისტს ლევანი ხვდება თეატრში და ფიქრობს: „რა სახელგანთქმელი დროა,—მაგრამ რომ არ ვიცნობ. ჩეკისტი რომ ყოფილა ეს კი შევიტყვე, მაგრამ... როგორ მივუდგე...: მოდი, ანტრაქტის დროს გავიხმობ ცალკე და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონება

ჩვენ გვქონდა ნება
ლეგალური
მუშაობისა.
იყო ბრძანება:
— ხელს ნუ ახლებთ,
მათ აქვთ უფლება
კრების და სიტყვის,
ბეჭდვისა
და მოქმედების,
ოღონდ მათ სიტყვას
გამოსათქმელს
ნება ერთვისა,
ნება მთავრობის
საქართველოს
რესპუბლიკისა
(სადაც სამოთხე
ყველასათვის
იყო „მგლის და ცხვრის“
სადაც ხარობდა
ძველებურად
მქონე სიმდიდრის).
ეს გაფრთხილება
მიმართული
იყო ჩვენს მიმართ
ბოლშევიკები კი
მშიშრები
არა ვყოფილვართ
და გვითქვამს,
ვნახოთ
აბ „ვინ ვის“
ბრძოლა გვიჩვენებს,
რევოლიუციის
ნიაღვრებს
რა შეაჩერებს.
ჩვენ ამ საკითხზე
პარტკომისა
სანქცია გვქონდა
ბრძოლის ხანაში
ლეგალობას
პარტკომი გმობდა,
არ ვართ ჩვეული
თავის თავის
მოტყუილების,
მიუღებელი
არის ჩვენთვის
გულუბრყვილობა,
ოღონდ ბრძოლაში
სტრატეგია
არ გვავიწყდება,
და ვით ასეთი
ჩვენც მივიღეთ
ეს ლეგალობა.
ჩვენი გაზეთი
„კომუნისტი“-ს
სახელწოდებით
რომ იწყებოდა
ანშლაგებით
მოწოდებების!
როგორც არც ერთი
მაშინდელი
გაზეთი სხვების,—
მენშევიკების,
ესერების
თუ ესფერების,
რედაქციაში
გვედგა ძველი,
ერთი მაგიდა
მოტანილი
კერძო ბინიდან,
სარედაქციო
მუშაობა
თავის სატეხი
ცეცხლის გაზეთის:
მზის გაზეთის
გაზეთი მეხის!
— ამხანაგებო!
თავს გვესხმიან,
მედგ[illegible]დ იყავით,
ბოლშევიკური
სიმამაცე
თქვენ დაიცავით!
იყო ხმა ერთი
ამხანაგის
შემოძახილი,
რომ შემოვარდა
გაჩნდა ჩვენთან
როგორც აჩრდილი,
ერთმა იხუმრა,—
ციხეშიაც
ხომ ჩვენ ვიქნებით,
იქ გამოუშვებთ,
ამ ჩვენს გაზეთს,
(არ ვამბობთ ქებით).
კარმა იფეთქა
რედაქციის
როგორც არას დროს
— გვინდა ორდერი,
რომ გადავსცეთ
მთავარ რედაქტორს!
ბრძანა აგენტმა
საქართველოს
ძველი მთავრობის
— აქა გახლავარ,
მიღება გსურთ
რაიმე ცნობის?
და წარსდგა მის წინ
მომუშავე რედაქციაში
ვისაც მასალებს
გავატანდით
ხშირად სტამბაში.
—აი ორდერი
თქვენს სახელზე,
გთხოვთ წამობრძანდეთ,
თან წამოგიღებთ
მასალებსა,
ეს ჩვენ მოგვანდვეთ“.
ჩვენი გაზეთის
რედაქცია
გავდა ბრძოლის ველს.
კარი დალუქეს
და წარწერაც
ჩამოახიეს.
ჩვენ მივყვებოდით
ჩვენს „რედაქტორს“
(შიკრიკს გაზეთის)
ვისაც ნაბეჭდი
არ ქონია
სიტყვა არც ერთი,
მაგრამ მებრძოლი
უშიშარი
იყო მედგარი.
(რედაქციაში
მას ვიცნობდით
მუდამ სხვა გვარით)
ჩვენ მიგვრეკავდენ
ციხისაკენ
თოფიანები.

სანდრო ეული.

მეტი ყურადღება მუშა მწერლებს

სამი მაგალითი სახელგამის მუშაობიდან

მაგალითი პირველი. 1930 წლის 21 მაისს პროლეტ. მწერ. ასოციაციის შუამდგომლობით საქ. სახელგამს უნდა გამოეცა მუშა-მწერალთა ალმანახი. ამავე მიზნით თბ. საბჭომ გადასდო 500 მანეთი ჟურნალ „ჩვენი მიზანი“-ს გამოსაცემად.

დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ ერთ წელზე მეტ ხანს გასტანა, როგორც იქნა ველირსეთ ალმანახის გამოცემას (№ 1).

მეორე ნომრისათვისაც შევაგროვეთ მასალა და ეს მასალა არ მახსოვს რამდენხანს მაგრამ კარგა ხანს კი ეყარა ამხ. სულავას თან. სულავას შემდეგ სახელგამში, სახელგამის შემდეგ ისევ ასოციაციაში და ბოლოს 1932 წლის 25 მარტიდან ისევ სახელგამში, სადაც ამჟამად მასალა სრულიად უპატრონოდ და უყურადღებოთ ყრია.

მაგალითი მეორე. 1926 წელს სახელგამში დასაბეჭდათ წარვადგინე ჩემი მოთხრობების წიგნი. სახელგამში კარგა ხანს უშედეგოთ სიარულის შემდეგ ასეთი პასუხი მივიღე:—„თქვენი მასალები დაიკარგაო. მეც ხელი ჩავიქნიე და თავი დავანებე ჩემს ამდენი ხნის ნაშრომს.

მაგალითი მესამე. 1931 წელს მუშა-მწერალმა სახელგამში შეიტანა დასაბეჭდათ მოთხრობა „მუშა სიმონა“. ეს მოთხრობა დღესაც მოგზაურობს ხელიდან ხელში და ნამდვილად არავინ იცის იგი ამჟამად ვისთან არის. ავტორმა ამას წინათ ასეთი პასუხი მიიღო:—ვიღაცას მივეცით წასაკითხად და დღემდე არ დაუბრუნებიაო...

ამხ. ხერხუაშვილსაც აქვს სახელგამთან საქმე. თითქმის ყოველდღე დადის იქ და ამაოდ ჰკარგავს დროს. მაგრამ იმის დასახასიათებლად თუ როგორ უყურებენ სახელგამში მუშა-მწერლებს, ეს სამი მაგალითიც საკმარისია.

მუშა-მწერალი **ნიკო ასლამაზაშვილი.**

მწერლობის იდეური აქტუალობისათვის

(ლ. ქიაჩელისა და მ. ჩიქოვანის წერილების გამო)

„სალიტერატურო გაზეთის“ № 10-ში მოთავსებული ლეო ქიაჩელის „რამდენიმე შენიშვნა პროზის საწარმოო თათბირის შესახებ“ ხასიათდება ისეთივე პოლიტიკური ინდიფერენტიზმით, მწერლობაში კლასობრივი ბრძოლის მიჩქმალვის ცდით, და სადისკუსიო ლიტერატურულ პრობლემათა ამ კლასობრივ წინააღმდეგობათა გარეშე განხილვით, რომლითაც ხასიათდებოდა ლეო ქიაჩელის გამოსვლები წინა სალიტერატურო დისკუსიებში. ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინათ კლასიკოსებისა და თანამედროვეობის საკითხის ირგვლივ ჟურნ. „პროლეტარულ მწერლობის“ მიერ მოწყობილ ანკეტაში ლეო ქიაჩელმა თავის საპასუხო წერილით უარყო რა შესაძლებლობა მწერლობის ბურჟუაზიულობისა, ამით ლოღიკურად უარყო მწერლობაში კლასობრივი დიფერენციაცია და მწერლობა ზე-კლასიურ და მაშასადამე, აპოლიტიკურ კატეგორიად გამოაცხადა. „მოკავშირეობისა და თანამგზავრობის“ შესახებ ჩატარებულ დისკუსიაში ქიაჩელის მონაწილეობა ყურადღებას იქცევდა იმით, რომ მან მწერლობის სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობის საკითხთან დაკავშირებული სიძნელეები სტილისა და ჟანრების საკითხამდე დაიყვანა. ამავე დროს სტილისა და ჟანრის საკითხი დაუპირისპირა იდეოლოგიისა და იდეურობის საკითხს. თითქოს სტილის თავისებურება ლიტერატურაში არ განისაზღვრებოდეს მწერლის კლასობრივი და იდეური ორიენტაციით.

ჩვენ დაგვჭირდა გაგვეხსენებინა ლ. ქიაჩელის ეს გამოსვლები, იმიტომ, რომ მისი უკანასკნელი წერილიც ერთგვარი გაგრძელებაა წინა გამოსვლებში აღებული ხაზის, რომელიც მდგომარეობს მწერლობაში გამწვავებული კლასობრივი დიფერენციაციიდან ყურადღების მოხსნისა და ლიტერატურის საბრძოლო ამოცანების ტეხნიკურ საკითხებამდე დაყვანის ცდაში. იმდენათ, რამდენადაც ლეო ქიაჩელი ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს და თავისი მხატვრული პრაქტიკით ამჟღავნებს უნარს და შესაძლებლობას აქტიურად მონაწილეობდეს სოციალიზმის მშენებელი დღევანდელობის გამომხატველ საბჭოთა ლიტერატურის მშენებლობაში, ჩვენ მოვალეობად წარმოადგენს მკაცრად გავაკრიტიკოთ მისი უკვე გარკვეულ სისტემად ქცეული შეცდომები, რადგან მწერლის აზროვნების ასეთი არა სწორი განვითარება არ შეიძლება გავლენას არ ახდენდეს მის მხატვრულ პროდუქციაზე. ლ. ქიაჩელს მონაწილეობა არ მიუღია პროზის საწარმოო თათბირზე წარმოებულ დისკუსიაში, ამიტომ ხსენებული წერილით მას უნდა გამოეთქვა თავისი შეხედულება იმ ძირითად საკითხებზე, რომელთა ირგვლივაც ხსენებული თათბირის მუშაობა ტრიალებდა, მაგრამ დამახასიათებელია, რომ ლ. ქიაჩელის წერილში უმთავრესი ყურადღება ექცევა თათბირის წარმოების წესს და მოხსენებათა აგების ტეხნიკურ მხარეს და ამავე დროს სრულიად უყურადღებოთაა დატოვებული ლიტერატურის კლასობრივი დიფერენციაციის საკითხი.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ლ. ქიაჩელს სწორად ვერ გაუგია ამოცანა მწერლობაში პროლეტარიატის კლასობრივი მსოფლმხედველობის — მატერიალისტური დიალექტიკის დამკვიდრებისათვის ბრძოლის. იგი სწერს: „დისკუსიის სათანადო წარმოებისათვის საჭირო იყო ა[illegible] საკითხის ცალკე გამოყოფა, და იმის გამო[illegible]რკვევა, თუ რამდენათ შესაძლო ქართულმ[illegible] პროლეტარულმა პროზამ ათვისება დი[illegible]ლექტიური მატერიალისტური მსოფლმხ[illegible]დველობისა და მისი მოცემა მხატვრულ[illegible] შემოქმედების ფაქტის სახით“. ჯერ ერთ[illegible] ამ სტრიქონების ავტორს მწერლობაშ[illegible] დიალექტიკურ მატერიალისტური მეთოდისათვის ბრძოლა მხოლოდ პროლეტარულ მწერლობის ამოცანად წარმოუდგენია; თითქოს მარტო პროლეტარულ პროზას ევალებოდეს გაიმსჭვალოს მუშათა კლასის მსოფლმხედველობით. აქ ჩვენ საქმე გვაქვს პროლეტარული მწერლობის საბჭოთა მწერლობისაგან გამოთიშვის ტენდენციასთან, რაც, რა თქმა უნდა, არსებითი შეცდომაა. მაგრამ ამ ამონაწერში უმთავრესი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ქიაჩელის აზრით ჩვენი ამოცანა ყოფილა, რომ მხატვრულმა **პროზამ აითვისოს დიალექტიურ მატერიალისტური მსოფლმხედველობა და იგი მოგვცეს მხატვრული ფაქტის სახით.**

ნამდვილად კი მხატვრული პროზისაგან ჩვენ მოვითხოვთ არა დიალექტიურ მატერიალისტური მსოფლმხედველობის ათვისებას და მის მხატვრულ გადმოცემას, არამედ სოციალიზმის მშენებელი რეალობის მუშათა კლასის მებრძოლი ტაქტიკის ათვისებას, მის ღრმა გაგებას და მის მხატვრულ გამოხატულებას სათანადო სიღრმითა და მრავალფეროვანებით. მაგრამ რომ რეალობის ეს გამოხატულება იყოს ნამდვილი და ამავე დროს ხასიათდებოდეს ამ რეალობაზე გარდამქმნელი ზემოქმედების უნარით, ამისათვის აუცილებელია რეალობის ეს შემეცნება და მისი გამოხატულება ხდებოდეს მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდით. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ მწერალი დადგება მუშათა კლასის პოზიციებზე და შეიარაღდება მისი მსოფლმხედველობით — მარქსისტულ - ლენინური მატერიალისტური დიალექტიკით. ამრიგად საკითხი სდგას მწერლის მიერ მატერიალისტური მსოფლმხედველობის დაუფლებისა, მის მიერ მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდის მომარჯვებისა მხატვრულ შემოქმედებაში და მაშასადამე, მხატვრულ ფაქტში რეალობის მატერიალისტურ დიალექტიურ გამოხატულების შესახებ.

ვერ გაიგო რა სწორად ლ. ქიაჩელმა მწერლობაში შემოქმედებითი მეთოდისათვის ბრძოლის ამოცანა, მან წამოაყენა მოთხოვნილება, რომ კრიტიკამ მისცეს მწერლობას გარკვეული ფორმულა იმ ფორმებისა, რომლებითაც უნდა სწარმოებდეს ამ მეთოდის მომარჯვება მხატვრულ მწერლობაში. ლ. ქიაჩელი ვალდებულია იცოდეს, რომ მწერლობაში დიალექტიური მატერიალისტური მეთოდის მომარჯვება ამჟამად წარმოადგენს ჩვენს ძირითად საბრძოლო ამოცანას. ამიტომაც ამ მომარჯვების მზა-მზარეული სქოლასტიური ფორმები არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. მხოლოდ მხატვრულ პრაქტიკაში, მუშათა კლასის მშენებლობითი პრაქტიკის სათანადო სიღრმით და სინამდვილით გამოსახვის სწრაფვის პროცესში შეიძლება გამომუშავდეს ეს მეთოდი. ქიაჩელი როგორც საბჭოთა მწერალი, ვალდებულია თვითონაც მონაწილეობდეს ამ მეთოდისათვის ბრძოლის პრაქტიკაში. ვისაც სურს მიიღოს ამ მეთოდის ამოცანების გამზადილი სტანდარტული ფორმა, ის ვერ ერკვევა საკითხის სიღრმესა და სირთულეში, მას სურს უმცირესი წინააღმდეგობის გზით იმუშაოს. ეს გზა კი უცხოა სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის ლიტერატურის ახალი ხარისხისათვის.

ცნობილია, რომ ლიტერატურის მემარჯვენე ბანაკი, ბურჟუაზიულ - წვრილბურჟუაზიული მწერლობის ფრონტი ცდილობდა „მარადიულ შედევრების“, „გარდაუვალი ესთეტიური“ კატეგორიების ფრაზას ამოფარებოდა და უარეყო მწერ[illegible] სადღეისო აქტუალური სოციალუ[illegible]ლება. ჩვენ ყოველთვის ვებრ[illegible]ლისტური ესთეტიკიდან გად[illegible] მოსაზრების, რომელთაც [illegible]ში ეძლეოდა გარკვეული [illegible] პოლიტიკური მნიშვნე[illegible]ილობდა დაეშორებინა [illegible] მიმდინარე კლა[illegible] პრაქტიკიდან, ჩვენი [illegible]ეციონური თემატიკიდან [illegible] აბსტრაქციებზე“ დაეყარე[illegible]ომაც ჩემს მოხსენებაში [illegible], რომ მწერლობა უნდა განსაზღვროს თავის საზოგადოებრივ ფუნქციას დღევანდელობის ამოცანებით და არა მარადიულობით. ლეო ქიაჩელს კი სახიფათოდ მიაჩნია დღევანდელობის და მარადიულობის ასეთი დაპირისპირება და ამტკიცებს, რომ ეს აბსურდია დიალექტიური მატერიალიზმის თვალსაზრისით. ვფიქრობ, არ დაგვჭირდება მოვიყვანოთ ამონაწერები მარქსიზმის კლასიკოსებიდან იმის დასამტკიცებლად, რომ მატერიალისტური დიალექტიკა უარყოფაა სოციალურ ცხოვრებაში, აზროვნებაში და, მაშასადამე, მწერლობაშიაც რაიმე მარადიულ და გარდაუვალ კატეგორიების არსებობისა. როდესაც მწერლობის სადღეისო აქტუალობაზე ვლაპარაკობთ, რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვგულისხმობთ დღევანდელობის გამოთიშვას განვითარების საერთო მსვლელობიდან. დღევანდელობა არ უნდა გავიგოთ ისე ანბანურად, რომ თითქოს ვინმე ქადაგებდეს მწერლობის თემატიურ ან იდეურ შემოფარგვლას ერთი დღის მასშტაბით. მწერლობის სადღეისო აქტუალობა ნიშნავს მწერლის მიერ თავისი დროის მოწინავე და პროგრესიულ იდეების ღრმა გაგებას და მათ შეგნებას. თანამედროვეობის მამოძრავებელი და ხელმძღვანელი კლასის იდეურ პოზიციებზე დგომას და ამ კლასის მსოფლმხედველობითი თვალსაზრისით მიმდინარე პრაქტიკიდან თუ ისტორიული წარსულიდან აღებული თემატიკის მხატვრულ დამუშავებას. ამ სავსებით ნათელი და სწორი აზრის წინააღმდეგ დისკუსია, ბუნდოვან მარადიულობის ფრაზის გამოხატულება, მოასწავებს გაცოცხლებას იმ ტენდენციისა, რომელზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით და რომელიც მდგომარეობს ცდაში მწერლობამ უკან დაიხიოს დღევანდელობის იდეურ-თემატიური აქტუალობიდან და მაშასადამე მოსწყდეს სოციალიზმის მშენებელ თანამედროვეობას და მისი ხელმძღვანელი კლასის მებრძოლ პრაქტიკას. სახიფათო სწორედ ეს არის საბჭოთა მწერლობისათვის, და ლ. ქიაჩელმა ამ სახიფათო აზრისაგან თავი უნდა გაინთავისუფლოს.

იდეური აქტუალობის აპოლოგია ქიაჩელს მეორე ხარისხოვანი, მხატვრულ შემოქმედებასთან კავშირის არ მქონე მწერლობისაკენ მოწოდებით მიაჩნია, აქაც ცოცხლდება ბურჟუაზიული ლიტერატურის ტრადიცია: აქტუალური მწერლობის დღევანდელობის იდეებით და მასალებით ამოძრავებული მწერლობის მეორე ხარისხოვან ლიტერატურათ გამოცხადებისა, მისი მხატვრული ღირებულების უარყოფისა. აქ ლ. ქიაჩელი მეორე ხარისხოვან მწერლობაში ალბათ გულისხმობს პროზის ისეთ ჟანრებს, როგორიცაა ნარკვევი, მიმოხილვა, მემუარები, დოკუმენტალური პროზა. ჯერ ერთი საწარმოო თათბირზე, არც სხვა რომელიმე გამოსვლაში, ჩვენ არ დაგვიცავს ამ ჟანრების პრიორიტეტი. პირიქით, ყველგან და ყოველთვის ჩვენ ხაზს ვუსვამდით მხატვრული პროზის ასეთ ჟანრებით განსაზღვრის „ლეფისტური თეორიის“ მიუღებლობას და შემცდარობას. მაგრამ ეს გარემოება არ გვაძლევს უფლებას დავანაწილოთ ლიტერატურული ჟანრები ხარისხის მიხედვით და დავამყაროთ მათი იერარქია. დღევანდელ ეტაპზე ბოლშევიკური მხატვრული პროზისთვის ბრძოლის ძირითადი საკითხი მდგომარეობს მარქსისტული მსოფლმხედველობის დამკვიდრებაში და მწერლობაში იდეურ აქტუალობის განმტკიცებაში. ამიტომაც ბრძოლა ჟანრებისათვის არის აქედან გამომდინარე საკითხი. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ჟანრისათვის და საერთოდ მხატვრულ გამოსახულების საშუალებათათვის ბრძოლა წინასწარ განვსაზღვროთ რაიმე დოგმებითა და რეცეპტებით და გამოვაცხადოთ მონოპოლია ბურჟუაზიულ ლიტერატურის არსენალიდან გამოტანილი რომელიმე მხატვრული ჟანრისა, ამ საკითხში ჩვენს ლიტერატურულ აზროვნებაში ადგილი აქვს მთელ რიგ შეცდომებს, მაგ. ამხ. პანტელეიმონ ჩხიკვაძე თავის წერილში **„ხუთწლედის გმირი ლიტერატურაში“** (სალიტ. გაზეთი № 3), რომელშიაც ბრალი დამდო მე, თითქოს სადმე და ოდესმე გადამწყვეტ საკითხად ჟანრების საკითხი გამომეცხადებინოს, თვითონ დაუშვა აშკარა შეცდომა და ლოღიკურ წინააღმდეგობაში ჩავარდა. ამ წერილში ჩხიკვაძე გამოდის უკვდავ ლიტერატურულ ნაწარმოებთა დამცველად, ხშირად იმეორებს ფრაზას: „უკვდავი ეპოპეია“, „უკვდავი და ეპოქალური ნაწარმოები“ და სხვ. და „უკვდავების“ გზას, რომანის ჟანრის, ბატონებაში ხედავს. იგი სწერს: **„არავინ იფიქროს, თითქო ჩვენ უარვყოფდეთ ნარკვევს, მემუარ - მიმოხილვას, როგორც ჟანრს,** ჩვენ შესაძლებლათ მიგვაჩნია აღნიშნულ ჟანრების საშუალებით **მხატვრული ნაწარმოების დაწერა, მაგრამ უპირატესობას მაინც რომანის მხარეს ვტოვებთ.** მიმოხილვა, მოგონება, თუ ისტორიული მასალა, რა გინდ საინტერესო არ იყოს ის, თავის **შინაარსით, მაინც ვერ იქნება (და არც არის) მხატვრული ნაწარმოები**, არ არის ტიპიური და მაშასადამე, **არც განზოგადოებული**“. ცხადია, აქ საქმე გვაქვს აშკარა შეცდომებთან და ლოღიკურ წინააღმდეგობასთან. ჩამოთვლილი ჟანრები გამოცხადებულია ანტიმხატვრულ ჟანრებათ. ამაზე მეტი უარყოფა ამ ჟანრებისა შეუძლებელია. გასაკვირია, რათ სჭირდება ამხ. ჩხიკვაძეს ამავე დროს განაცხადოს, რომ ის არ უარყოფს ამ ჟანრებს და რომ მას შესაძლებლად მიაჩნია ამ ჟანრებით მხატვრული ნაწარმოების დაწერა.

ასეთივე შეცდომას და ლოღიკურ წინააღმდეგობას უშვებს ამხ. **ბენაშვილიც** თავის წერილში „სართულები“-ს შესახებ. იგი ილაშქრებს ჟანრების მონოპოლიზმის წინააღმდეგ, მაგრამ თვითონვე გამოდის მონოპოლიზმის დამცველად. იგი სწერს: „ფორმალისტური სქოლასტიკის ნაცვლად მატერიალისტური დიალექტიკა ბატონდება, **რომელშიც ჟანრის მონოპოლიზმი— თანაბარულ — უფლებიანობით იცვლება.** ლექსის დიქტატურა — ბელეტრისტიკის ხარჯზე ისპობა; უსაგნო ლირიზმის დღენის საფუძვლებზე **ეპოსი ხდება** სოციალიზმის მშენებლობის ეპოქის დიდი მიზნების გამომხატველ **გაბატონებულ ფორმათ“.** აქ ავტორი აცხადებს ეპიური ჟანრის მონოპოლიას, მის გაბატონებას და ივიწყებს რამოდენიმე სტრიქონით ზემოთ გამოთქმულ აზრს ჟანრობრივი მონოპოლიზმის წინააღმდეგ.

ჟანრის პრობლემა მოითხოვს **სერიოზულ** დამუშავებას და გადაწყვეტას. სოციალიზმის მშენებელი პრაქტიკიდან მწერლობაში შემოსული ახალი თემატიური მასალა, ის რევოლიუციონური სოციალური ფუნქცია, რომლითაც საბჭოთა ლიტერატურა უნდა ხასიათდებოდეს და ბოლშევიკური მხატვრული მეთოდი, რომლის დაუფლებისათვისაც ჩვენ ვიბრძვით, შეუძლებლად ხდის ძველი ლიტერატურის არსენალიდან მიღებული ჟანრების უკრიტიკოთ, გადაუმუშავებლად გამოყენებას და მით უფრო რომელიმე მათგანის მონოპოლიის აღიარებას.

ახალი ჟანრისათვის ბრძოლა უნდა სწარმოებდეს ნაწარმოების სოციალური ფუნქციისა და იმ კონკრეტული მასალის გათვალისწინებით, რომელზედაც ნაწარმოები იშლება. აქედან გამომდინარე უნდა ხდებოდეს შერჩევა დასახულ ამოცანასთან და მასალასთან შედარებით უფრო ახლობელი ჟანრებისა ლიტერატურულ მემკვიდრეობიდან, მაგრამ მათი კრიტიკული გამოყენების, დიალექტიური გადამუშავების აუცილებელი პირობით.

—:—

ამხ. მიხ. **ჩიქოვანის წერილი „ლ. ქიაჩელის წერილის გამო“** სამართლიანად ამხელს ლ. ქიაჩელის მთელ რიგ შეცდომებს და კერძოთ ამ უკანასკნელის შემარიგებლურ დამოკიდებულებას პროზის საწარმოო თათბირზე გამოთქმულ მიუღებელ შეხედულებებისადმი. მაგრამ ლ. ქიაჩელთან კამათის დროს ამხ. ჩიქოვანმა დაუშვა მთელი რიგი უხეში შეცდომები, რომელთა მხილება და გარკვევა აუცილებელია პროზის აქტუალური საკითხების სწორად გადაწყვეტისათვის.

მიხ. ჩიქოვანი ეკამათებოდა ლ. ქიაჩელს იმ საკითხში, თუ რაში მდგომარეობს უმთავრესი სიძნელე და სწერს, „გამოდის, რომ **აქ სტილშია მთავარი საფრთხე და არა იდეოლოგიაში,** ჩვენ კი ასე არ გვესმის“. როგორც სჩანს აქ მიხ. ჩიქოვანიც იმავე შეცდომას უშვებს, როგორითაც ლ. ქიაჩელის მოსაზრება ხასიათდება ამ საკითხში, იგი გამოყოფს სტილს იდეოლოგიისაგან და მათ დაპირისპირებას ახდენს. ნამდვილად კი ნაწარმოების სტილისტურ-კონსტრუქციას მწერლის იდეოლოგიური მიმართება განსაზღვრავს, ამიტომაც საკითხის ამგვარად დაყენება სტილისა და იდეოლოგიის დაპირისპირება გაუგებრობაა და ბადებს საფრთხეს მეტაფიზიკაში და მექანიზმში გადაჩეხვისა.

ამხ. მიხ. ჩიქოვანი ჩამოსთვლის თანამედროვე ლიტერატურის ძირითად თემებს და ასეთებად მიაჩნია რევოლიუციონური თემატიკა, 2) ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და 3) სოფლის სოციალისტური გარდაქმნა. გაუგებარია ეს კლასიფიკაცია. ნუთუ სოციალისტური ინდუსტრია და სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქცია არ იძლევა რევოლიუციონურ თემატიკას? რას გულისხმობს ამხ. ჩიქოვანი რევოლიუციონურ თემატიკაში? თუ აქ ლაპარაკია რევოლიუციის ისტორიის მასალების შესახებ, რევოლიუციონური თემატიკა ხომ მარტო ამით არ შეიძლება განისაზღვროს.

მიხ. ჩიქოვანის შემდეგი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მან მოისურვა დაეკმაყოფილებია ლეო ქიაჩელის მოთხოვნილება და მარტივ მაგალითზე ეჩვენებია, თუ როგორ შეიძლება მხატვრულ ნაწარმოებში მოვლენის დიალექტიურ მატერიალისტური გამოხატულება. ამ სურვილის განხორციელებაში მიხ. ჩიქოვანმა მკაცრად დაამახინჯა მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდოლოგია და მოგვცა მისი არა სწორი გაგება. მაგ., რას ნიშნავს ფრაზა: „მწერალმა უნდა მოგვცეს პროზაში ამ მეთოდის **კატეგორიების მხატვრული განსხეულება“.** რას ნიშნავს დიალექტიური მეთოდის კატეგორიების, მხატვრული განსხეულება? აქ სრულ აბსურდობასთან და გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ან კიდევ „ჩვენის აზრით მომხსენებლების ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ ვერ გამოამჟღავნეს კონკრეტული ფაქტები, სადაც **დიალექტიკის რომელიმე კატეგორია მაინც ყოფილიყოს მოცემული**“. მიხ. ჩიქოვანს დიალექტიკა კატეგორიების მექანიკურ ჯამათ წარმოუდგენია და შესაძლებლად დაუნახავს მხატვრულ ნაწარმოებში ცალკე რომელიმე კატეგორიის მოცემა. აქ მიხ. ჩიქოვანი ვარდება იმავე გაუგებრობაში, რაც ლეო ქიაჩელს ეუსაყვედურეთ, იგი ლაპარაკობს ნაწარმოებში დიალექტიკის კატეგორიების მოცემის შესახებ და არა ნაწარმოებში მოვლენათა დიალექტიური გამოხატულების შესახებ, რაც ნამდვილად ჩვენს საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს.

როგორ წარმოუდგენია მიხ. ჩიქოვანს მატერიალისტური დიალექტიკის მომარჯვება მხატვრულ შემოქმედებაში „კულაკები იბრძვიან კოლმეურნეობების მოძრაობის წინააღმდეგ, ბრძოლის ერთ-ერთი ფორმაა კოლმეურნეობის დაწვაა, ბელეტრისტს შეუძლია ამ შემთხვევაში აიღოს დაწვა, როგორც დასრულებული მოვლენა და შემდეგ მხატვრულად გამოააშკარაოს ის კლასობრივი მიზეზები, რამაც ეს მოვლენა გამოიწვია. მწერალმა აქ უნდა გვიჩვენოს შედეგი“. ამრიგად მიხ. ჩიქოვანის წარმოდგენაში მატერიალისტური დიალექტიკა დაფარულია კაუზალობის თეორიით. დაწვა შეიძლება გამოიხატოს როგორც ცალკე არსებული, დასრულებული მოვლენა, ხოლო აუცილებელია მისი მიზეზისა და შედეგის მოძებნა, ძნელი არ არის იმის გარკვევა რომ აქ საქმე გვაქვს მატერიალისტური დიალექტიკის გაუბრალოებასთან და ვულგარიზაციასთან. ასევე ბუნდოვანია და გაურკვეველი მიხ. ჩიქოვანის მთელი რიგი მოსაზრებები მატერიალისტური დიალექტიკის მწერლობაში მომარჯვების შესახებ. ერთ ადგილას იგი სწერს „დიალექტიური მეთოდის მომარჯვება **მწერლისათვის პირველ ყოფილისა განვითარებას ნიშნავს.** ის რაზედაც იწერება არაა უძრავი, მარადიული. არამედ განიცდის განვითარებას. წინააღმდეგობათა მთლიანობა არის ძირითადი, რომელშიც გამოივლინება ყველა მისი დამახასიათებელი თვისებები“. ამ ამონაწერებიდან ცხადია, რომ ავტორს დაუსახავს რთული განზრახვა: ჩამოყალიბებულ ფორმულებში მოეცა მწერლობაში მატერიალისტურ დიალექტიური მეთოდის კონკრეტიზაციის გამზადილი ფორმები, მაგრამ ავტორი ვერ უძლებს განზრახვის სირთულეს და [illegible] მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის გაუბრალოებას და დამახინჯებას.

ამხ. მიხ. ჩიქოვანი მეკამათება და აკრიტიკებს ჩემს დებულებას ფაქტების ტენდენციურად დალაგების შესახებ მწერლობაში. აღსანიშნავია, რომ ჩიქოვანი ჩემს დებულებას განიხილავს იმ სახით, როგორც იგი გადმოცემულია ლეო ქიაჩელის მიერ და არა იმ ფორმულირებით, რომლითაც გამოხატა მე ჩემი შეხედულება და როგორც ეს დაბეჭდილია ჩემი მოხსენების ანგარიშში. ჩემს მოხსენებაში მე ვაკრიტიკებდი ფაქტების და მოვლენების ინერტიულ, მჭვრეტელობითი ფიქსაციის თეორიას ლიტერატურაში და ვაყენებდი დებულებას იმის შესახებ, რომ მწერალი მოვლენათა და ფაქტების არეში უნდა შევიდეს გარკვეული მსოფლმხედველობით შეიარაღებული. მე ვიცავდი და ვიცავ ლიტერატურის თემატიურ მასალისადმი კლასობრივ იდეურობით და ტენდენციურობით მიდგომის საჭიროებას. ვფიქრობ, რომ ამ დებულების წინააღმდეგ მხოლოდ „თავისუფალი ესთეტიკის“ წარმომადგენლებს შეუძლიათ ლაპარაკი ყოველ შემთხვევაში ეს უდავო უნდა იყოს მისთვის, ვინც მწერლობის, პარტიულობის ლენინურ ლოზუნგს იზიარებს და თავის თავს ბოლშევიზმის დიადი ხელოვნებისათვის მებრძოლთა კადრს მიაკუთვნებს. ამიტომაც გაუგებარია მიხ. ჩიქოვანის გამოსვლა ამ უდავო მარქსისტული აზრის წინააღმდეგ. ჩიქოვანი გაკვირვებულია „რა საჭიროა აქ ფაქტების ან მოვლენების ტენდენციური დალაგება, ნუ თუ განვითარების დიალექტიკა არ ლაპარაკობს პროლეტარიატის სასარგებლოთ. თუ საჭიროა მარქსისტულ ლენინური მეთოდოლოგიური განხილვის გარდა ფაქტების რაღაც ტენდენციური დალაგება, რომ გამოვააშკარაოთ ის **რაც ჩვენ გვინდა და არა ის, რაც ობიექტიურად არსებობს“.**

ჩიქოვანისათვის გაუგებარი ყოფილა ის მოვლენა, რომ მწერლის ამოცანაა არა მარტო აითვისოს მოვლენა, მის ზედაპირულ გამოვლინებაში, არა მარტო დაინახოს იგი, როგორც სტატიური და გარემოცვისაგან გამოთიშული კატეგორია, არამედ აღმოაჩინოს ამ მოვლენის ტენდენცია და ამ ტენდენციის გზით გვიჩვენოს მოვლენათა განვითარების კანონზომიერება. მოვლენებისადმი პროლეტარული ტენდენციურობით მიდგომა ნიშნავს ყველაზე მეტ შესაძლებლობას ობიექტიური და ჭეშმარიტი შემეცნებისათვის, ვისთვისაც ცნობილია მატერიალისტურ დიალექტიკური შემეცნების თეორია, ის ადვილად მიხვდება, რომ არ არსებობს განსხვავება იმის შორის, „რაც ჩვენ გვინდა“ და „რაც ობიექტიურად არსებობს“. მაგრამ ჩვენი შემეცნების ობიექტი— მოვლენებისა და საგნების სამყარო ბოლომდე შემეცნებული და გაგებული არ არის. ჩვენ შევდივართ მათში გარკვეული მსოფლმხედველობით, რომელსაც მარქსიზმ-ლენინიზმი ეწოდება და რომელიც არის ერთად ერთი სწორი საშუალება მოვლენათა დიალექტიკის ნამდვილი ობიექტიური შემეცნებისათვის. ამიტომაც პროლეტარული მწერლის დამოკიდებულება რეალობისადმი არის არა პასიური მჭვრეტელობითი, არამედ აქტიური განსაზღვრული კლასობრივი ტენდენციურობით პარტიული მიზანდასახულებით. რადგან შემეცნების უმთავრესი კრიტერიუმი ჩვენს საზოგადოებრივ პრაქტიკაში მდგომარეობს, ხოლო ჩვენი საზოგადოებრივი პრაქტიკა წარმოუდგენელია კლასობრივ და პარტიულ ტენდენციის გარეშე, ჩიქოვანმა უნდა იცოდეს რომ მატერიალისტური დიალექტიკა არსებითად განსხვავდება როგორც რელატივიზმისაგან, ისე ობიექტივიზმისაგან.

ლიტერატურული მშენებლობის დღევანდელ ეტაპზე ჩვენ უნდა განვამტკიცოთ აზრი მწერლობის იდეური აქტუალობისა. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ საბჭოთა მწერლობის კადრები ორგანიულად დაუახლოვდენ მუშათა კლასის მსოფლმხედველობითი პოზიციებს და ამ კლასის მეთოდოლოგიის მომარჯვებით შესძლონ სოციალიზმის მშენებელი დღევანდელობის შესაფერი მხატვრული პროდუქციის მოცემა.

ბ. ქლენტი

მოუტყუდები... რომ ვერ დავითანხმო და მეც დავიღუპო? ოოხ! მელიქოვ, მელიქოვ... რა დროს დაგვღუპე“ (გვ. 75).

ბავშური გულუბრყვილობა ამაზე შორს ვერ წავა. აქ კლასიური მტრების საშინელი აგენტი მოცემულია, როგორც გამოუცდელი გიმნაზიელი. ჩვენმა კლასიურმა მტრებმა პ. ჩხიკვაძეზე უკეთ იციან, თუ რამდენად შეიძლება ჩეკისტთან ასეთი მისვლა. „სართულების“ ავტორი აქ არ ათავებს თავის ავანტიურულ ტრიუკს და ლევანი მისი დამქაშებით შეყავს კავკასიის წითელდროშოვანი არმიის შტაბში, სადაც უცნაურად აღებენ ცეცხლგამძლე სეიფს, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, საიდუმლო დოკუმენტებს ვერ პოულობენ. როგორც სჩანს, ავტორს უნდოდა ეჩვენებია მენშევიკების ჯაშუშობა და ამ ცდაში მათ ყველგან კარი გაუღო. ამერიკული ფილმიც კი ამაზე მეტს ვერაფერს გამოიგონებს. წითელდროშოვანი არმიის საიდუმლო ნაწილი და მთლიანად შტაბი ცოტა უკეთ არის დაცული, ვიდრე თქვენ ეს გგონიათ. ფანტაზია უსათუოდ საჭიროა მწერლისათვის, მხოლოდ ის უნდა ეყრდნობოდეს რეალობას და თანაც შორს უნდა იყოს საკუთარ თავზე ცილისწამებისაგან.

ყველა ჩვენთაგანმა კარგად იცის, რომ თუ მავნებელი ან სხვა რომელიმე ჩვენი მტერი დაგმობს თავის საზიზღარ წარსულს, კაპიტალისტური პრესა მაშინვე იწყებს ყვირილს სახ. პოლიტ. სამმართველოს კედლებში მომხდარ ძალდატანების შესახებ. ჩვენთვის ნათელია ამ ყიჟინის პროვოკაციული ხასიათი და არა ერთხელ თვით გასამართლებულ მავნებლებს უარუყვიათ ბურჟუაზიული ლაქიების ჭორები რაიმე ძალდატანების შესახებ. მოვიგონოთ თუ გნებავთ, სამრეწველო პარტიის გასამართლება, რამზინისა და სხვა მავნებლების განცხადება.

ავიღოთ დაპატიმრებულ მავნებელ მელიქოვის დაკითხვა სახ. პოლიტ. სამმართველოში: „ჩაიკითხა ოქმი ერგემლიძემ ნაწყვეტ-ნაწყვეტად და მელიქოვს მრისხანედ მიუბრუნდა:

— ცრუობა არ გაბედოთ, თორემ... ხომ იცით.—წინასწარ გააფრთხილა მელიქოვი გამომძიებელმა“. (გვ. 163). მუქარის ამნაირ ტონს არ შეიძლება არ მოყოლოდა მისი რეალიზაცია და სართულების ავტორმა განაგრძო:

„დილეგში.—იყო განკარგულება...

— **მელიქოვს ფეხებზე ბორკილი დაადეს.**

— უუხ. რა ვიწროა ეს მუდრეგი.—გაიფიქრა გულში მელიქოვმა და ლევანდელი „რაინდული“ ჩვენების მიცემის შემდეგ ტკბილად ჩაეძინა“ (გვ. 167).

ეს უკვე აშკარა ცილისწამებაა. სოციალიზმის ქვეყანაში ბორკილებს ადგილი არ აქვს და „სართულების“ ავტორს რომ ამ სტრიქონების დაწერის დროს ბორკილები საკუთარ მოფიქრებაზე არ დაედვა—ასეთ უხეშ ცილისწამებას არ შეთხზავდა.

დაუშვებელ შეცდომას უშვებს პ. ჩხიკვაძე მუშათა კლასის შეფასებაშიაც. კერძოდ, მაუდის ფაბრიკის მშენებლობაზე მომუშავე მუშათა კოლექტივი წარმოდგენილია გლეხურ მასად, რომელიც წარმოებას მხოლოდ წამგლეჯელის და კერძო მესაკუთრის თვალებით უყურებს. ასეთი მუშათა კოლექტივი, ცხადია ვერ შეამჩნევდა მავნებლობას. ამიტომ მისი აღმოჩენის ინიციატორად ავტორს გამოყავს გრიგოლ გიგაური.

საერთოდ, „სართულებში“ დაპირისპირებულია კარგი კომუნისტები (გიგაური) და პარტიის ცუდი წევრები (პოლოსოვი-ბარბაქაძე). მუშათა კლასი და მისი ხელმძღვანელი — ავანგარდი — კომუნისტური პარტია ავტორმა სადღაც დაკარგა. ფაქტია, რომ ჩვენს წარმოებებსა და განსაკუთრებით ახალ აღმშენებლობებზე მრავალია სოფლიდან ჩამოსულები, რომელთაც თან ახლავთ გლეხური მესაკუთრეობის ფსიქოლოგია. მათ ესაჭიროებათ გარდაქმნა. მხოლოდ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ყველანი ქურდები და წამგლეჯებია, რომელნიც მხოლოდ ჯამაგირის მომატებაზე ყვირიან. მწერალმა უნდა იცოდეს, რომ თითეულ წარმოებაში არის მუშათა ძირითადი კადრებიც, რომელიც სოციალიზმის შეგნებული მშენებელია.

რა მონაწილეობას იღებს „სართულების“ მიხედვით მუშათა ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელი — კომუნისტური პარტია მაუდის ფაბრიკაზე მავნებლობის აღმოსაჩენად? სჩანს სადმე კომუნისტების ავანგარდული როლი? სრულებით არა. მუშები წარმოდგენილია პასიურ მასად, რომელიც მხოლოდ გიგაურის გამოსვლის შემდეგ იღვიძებს: „ხედავ, ჩვენ ცხვირწინ თურმე რაები ხდებოდა და ამის შესახებ ბევრმა არაფერი იცოდა, ან თუ იცოდა, თავისთვის იყო, გამომჟღავნებასაც კი ერიდებოდა“ (გვ. 110).—ლაპარაკობს ფაბრიკის მუშა. პარტიის კოლექტიური ნებისყოფა, პარტიული ორგანიზაციის წამყვანი როლი „სართულებში“ მივიწყებულია.

რამოდენიმე სიტყვა პ. ჩხიკვაძის შემოქმედებითი მეთოდის შესახებ. ჩვენმა კრიტიკოსებმა თითქოს ერთხმად აღიარეს, რომ „სართულები“ დაწერილია დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდის სრული დაუფლებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პ. ჩხიკვაძის მეთოდის ასეთი შეფასება მეტისმეტად გადაჭარბებულია. ვერავინ უარყოფს, რომ „სართულებში“ ავტორი გვევლინება არა მარტო სინამდვილის ობიექტიურ მჭვრეტელად, არამედ მსჯავრმდებელადაც (ზოგჯერ რამდენად სწორია ეს მსჯავრი—სულ სხვა საქმეა—დ. ვ.) ამასთან ავტორმა გაბედულად გამოამჟღავნა ის წინააღმდეგობანი, რომელიც არსებობს ობიექტიურ სინამდვილეში, ერთგვარად სცადა მოეცა მთლიანობაში დაპირისპირებულ ტენდენციების განვითარების სურათი. მაგრამ კატეგორიული განცხადება იმის შესახებ, რომ პ. ჩხიკვაძემ „სართულები“-თ დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდი დაიპყრო. ვიმეორებთ, [illegible]. პირიქით, შეიძლება აღინიშნოს, რომ პ. ჩხიკვაძეს სწორად არა აქვს გაგებული დაპირისპირებულთა მთლიანობის პრინციპი და მისი კონკრეტიზაცია რომანის ცალკე სახეებში. ჩვენ ზევით ვსთქვით, რომ „სართულებში“ მოცემულია აბსოლუტურად დადებითი და უარყოფითი ტიპების მექანისტური დაპირისპირება.

შემდეგი ძირითადი ნაკლი, რომელიც ახასიათებს „სართულებს“, ეს არის მისი გადატვირთვა ნატურალისტური წვრილმანებით. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ავტორს რომანი ხელოვნურად გაუბერავს და შიგ ისეთი თავები შეუტანია, რომელიც ნაწარმოებს მხოლოდ ამძიმებს და ძირითად იდეას ნაწილობრივ ჩრდილავს. „სართულები“-ს ავტორი ყოველგვარი ფაქტის, ან მოვლენის აწერის დროს, მეტად მეწვრილმანე ფაქტოვიკია. ეს ნატურალისტური სტილი ავტორს მთელი ნაწარმოების ბოლომდე მიჰყვება, ასწერს ის მუშათა კრებას, სასამართლოს, ქუჩის ვიტრინებს, ოთახებს თუ სამიკიტნოებს. აი, მაგალითად, როგორ გვაძლევს პ. ჩხიკვაძე რესტორანის სურათს:

...„ვისაც აზიური სუფრის ყაიდა თვალში მოსდის და ზურნა დუდუკზე ყურთა სმენა შეუჩვევია, რით გინდათ, რომ იქ არ ესიამოვნონ გაქქილმა მიკიტნებმა...

— საცივი—ღომით.

— გოჭი და ინდაური—იმერული საწებლით.

დაუსუნთქავი ცვარიები... მწვადები.., „ცოცხალი“ და...

სინამდვილესთან ამნაირი დაახლოვება, ნაწარმოების გადატვირთვა დეტალებით მწერალს, რომელიც ეუფლება დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდს, დიდათ შეუშლის ხელს შემოქმედებითი განვითარებაში. ნატურალისტური სტილი არ არის პროლეტარული ლიტერატურის სტილი. ნატურალიზმის სიჭარბე ყოველთვის ლაპარაკობს მწერლის ღარიბ შემოქმედებითი ფანტაზიაზე და ხელს უშლის მხატვრულ გამოგონებლობას. — „რომლებიც ფაქტიურობის საფუძვლებზე გვაძლევენ ცხოვრებას უფრო ნათლად, ღრმად და სავსედ, ვიდრე ფაქტოვიკის რომელიმე ფოტოგრაფია“.

პ. ჩხიკვაძე ჩვენი მწერლების პირველ რიგებში სდგას. „სართულები“ მისი სერიოზული ლიტერატურული მუშაობის დასაწყისია. შემდეგმა მისმა მხატვრულმა ფაქტებმა გვიჩვენა პ. ჩხიკვაძის შემოქმედებითი ზრდა. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ პ. ჩხიკვაძე არ საჭიროებს შეცდომების და ნაკლის დაფარვას. პირიქით, ყოველ საბჭოთა მწერალს, ესაჭიროება დახმარება ამხანაგური და კონკრეტული კრიტიკით.

მარქსისტულ სალიტერატურო კრიტიკას ახასიათებს არა ჯგუფური კრიტიკა, არამედ კლასიური პრინციპიალობა. ეს ჯერ ჩვენ საგრძნობლად გვაკლია.

—:—

რედაქციისაგან

ამხ. პ. ჩხიკვაძის საწარმოო რომანის „სართულები“-ს შესახებ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამართული დისკუსია მიგვაჩნია დამთავრებულად.

ამასთანავე ავღნიშნავთ, რომ ამხ. დ. ბენაშვილმა „სართულები“-ს გარჩევის დროს დაუშვა უხეში შეცდომები და ვერ გამოიჩინა ობიექტიურობა. ამხ. დ. ბენაშვილის აღნიშნულ წერილს აზის აშკარა ჯგუფობრივობისა და მიკერძოების ბეჭედი, რაც არაა ნორმალური. ასეთი კრიტიკით დახმარების მაგიერ, შეიძლება, მწერალი ავაცდინოთ სწორ გზას და მკითხველიც შევიყვანოთ შეცდომაში. აგრეთვე ამხ. კ. მელაძემ თავის წერილში, რომელიც წარმოადგენდა „სართულებზე“ ამხ. დ. ბენაშვილის კრიტიკის კრიტიკას, გვერდი აუარა „სართულების“ დადებით მხარეებს, რომელნიც მიუხედავად ნაკლოვანებებისა, საკმაოდ მოეპოვება ხსენებულ ნაწარმოებს

ს. გაგესკირია

ნავთის მეშვებთან

გათენდა. მატარებელმა აუჩქარა. უკან დავტოვეთ გურჯაანი. ახავერდებული მინდორი იშლება წინ. გაზაფხულის მზე თბილია. ბაღებში ახლად აყვავებული ხეები თბებიან მზეზე. გაშლილ მინდორზე ამაყად მიიზლაზნება არხში მომწყვდეული წყალი. საჭიროა მოირწყას: ხილი, ყურძენი, ბამბა. საბჭოთა ხელისუფლებამ ამისათვის დახარჯა ფული. ენერგია.

თვალი ტელეფონის ბოძებს მისდევს. მატარებლიდან ვამჩნევ კვამლს, შენობებს. წნორის წყალია. ჩამოვედით.

სადგურზე ფუსფუსია. სახეების საქმიანი გამომეტყველება... მუშები, ინჟინერები... ყველას ეჩქარება. რეკონსტრუქციის პერიოდს ჩქარი ტემპები აქვს...

ჩვენ მივლინებული ვართ საქ. ნავთის წარმოებაზე (მირზაანი, მლაშის ხევი, შირაქი) შეფეობის ალების მიზნით. ბრიგადაში არიან მხატვრები, ფოტოგრაფები.

ავტომობილს აგვიანდება. შევიარეთ ადგილობრივ კომკავშირის კომიტეტის მდივანთან ამხ. ღვინიაშვილთან. ვესაუბრეთ ერთი საათი...

წნორი კახეთის მნიშვნელოვანი პუნქტია. წნორს იქეთ მატარებელი არ მიდის. წნორში მოდიან: სიღნაღიდან, წითელ წყაროდან, ლაგოდეხიდან და ახლო-მახლო სოფლებიდან. ამ რაიონში დიდი მშენებლობაა, რისთვისაც ყოველგვარი სახის საჭირო მასალებს წნორი ანაწილებს.

თვით წნორში შემდეგი წარმოებებია: სატრაქტორო სადგური, თამბაქოს ქარხანა, ალაზნის სამელიორაციო ამხ-ბა, ამერიკული ვაზის სანერგე, აბრეშუმის პარკის ქარხანა და სხვ.

— ყველა ამ წარმოებებში კომკავშირელთა მნიშვნელოვანი პროცენტია დაბანდებული, სოცშეჯიბრება და დამკვრელობა, ეხლა განსაკუთრებით კომკავშირული ბილეთებისა და საკანდიდატო ბარათების შეცვლის კამპანიასთან დაკავშირებით, სამაგალითო ეფექტიანობას აღწევს. ასე, მაგალითად, გეგმით გათვალისწინებული იყო ორი ბამბის სათესი კულტივატორის აწყობა. კომკავშირულმა ენტუზიაზმმა გეგმას გადააჭარბა და ორის ნაცვლად ოთხი ააწყო.—გვესაუბრება ამხ. ღვინიაშვილი.

სატრაქტორო სადგურში გავიცანით ახალგაზრდა მუშა - კომკავშირელი დავით სპენდერაშვილი. იგი გამომგონებელია. გამოიგონა ტრაქტორის სარქველების მოსახეხი იარაღი, რომელიც დროის მნიშვნელოვან ეკონომიას იძლევა.

— ჩვენი ბიჭები, ფოლადის ბიჭები შეესიენ მინდორს ტრაქტორებით და ეხმარებიან გლეხებს საგაზფხულო თესვაში — განაგრძობს ამხანაგი...

ჩვენ ისევ ავტომობილს ვუცდით. გამოჩნდა. შოფერმა შეფები იკითხა. ნახევარი საათი და ჩვენს თვალს დაემალა წნორი...

მიჰქრის ავტომობილი ახლად გაკეთებულ შარა გზაზე. ავტომობილის სიჩქარეს ხშირად ანელებს გზაზე შეხვედრილი საბარგო ავტომობილები, ტრაქტორები, ურმები, რომელნიც აღმშენებლობის სხვადასხვა ადგილებზე ეზიდებიან მასალას.

ვიყურები განვლილ გზისაკენ. მაღალ გორიდან, სადაც ქორივით დაბუდრებულა სიღნაღი, ქვევით ეშვება ქარხნის მილებიდან ამოვარდნილი შავი კვამლი.

ქურ-მარნების კახეთი ინდუსტრიალურ სახეს ღებულობს. ამ რაიონში გაბნეული ოქროს სითხე სრულიად გარდაქმნის კახეთს.

მოკვდა თავადებისა და აზნაურების კახეთი. მოვიდა ახალი კუთხე. კუთხე ნავთის, რკინის, ბამბის, ტრაქტორების, ქარხნების. კიდევ რამდენიმე წელი და ადგილობრივი მცხოვრებიც კი ვეღარ იცნობს თავის მხარეს.

ჩემი შეკითხვებით მოვაბეზრე თავი ჩემს თანამგზავრს.

— ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის, ამხანაგო, მაგრამ ჩამოსული კაცის ამბავი ხომ იცით, — მაინტერესებს. იქნებ ორიოდე სტრიქონი დავწერო ამ მოგზაურობაზე და დამეხმარეთ თქვენის განმარტებებით. ხათრიანათ მივმართე ამხანაგს.

— როგორ გეკადრებათ! რა შეწუხება, რის შეწუხება. — მპასუხობს...

ავტო მიგვაქროლებს... ხავერდივით გაშლილ ალაზნის ველს ვუმზერ.

— ეს ალაზნის ველია, სულ რამდენიმე წლის წინად იგი დაუმუშავებელი იყო. ეხლა იქ საბჭოთა მეურნეობები მუშაობენ. კენაფი მოჰყავთ. თეთრი ღრუბლებივით გადაპენტილი ბამბა ახარებს ჩვენს გულს.— მესაუბრება ჩემი თანამგზავრი...

გზაზე გზის შესაკეთებლად გამოსულან მუშები...

დავტოვეთ განზე ჯაფარიძის სახელობის სოფელი. სულ ცოტა დრო გავიდა და ჩვენი ავტომობილი წითელ-წყაროში შეიჭრა. გაჩერდა პარტკომის შენობის წინ.

პასუხისმგებელ ამხანაგებთან საქმიანი საუბრის შემდეგ — დავბინავდით, დავისვენეთ.

მეორე დილიდან შევუდექით საქმეს.

⁂

წითელ-წყაროს ძველი სტილის ყაზარმული ნაგებობანი აშკარად მეტყველებენ, რომ აქ უწინ ჯარი იყო დაბანაკებული. ეხლა ამ ყაზარმებში ახალი ცხოვრებაა. ეხლა იქ ინდუსტრიალური შემოქმედებაა სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის საფუძვლებზე ფართოდ გაშლილი. ერთ ყაზარმაში მექანიკური სახელოსნოა, მეორეში — ელექტრო-სადგური, მესამეში — გარაჟი, მეოთხეში სასადილო და ა. შ.

კარგად მოწყობილია სასადილო. სუფთა გრძელი მაგიდები. დამაკმაყოფილებელი კვება. პლაკატებითა და ლოზუნგებით მორთულია კედლები.

ჩემი ყურადღება მიიპყრო სასადილოს კარებთან დადგმულმა „ბუდკამ“. იგი შავი ფერითაა შეღებილი. აქვს წარწერა: „აქ ღებულობენ ხელფასს შრომის დეზერტირები“. მართლა რა საშინელი „შენობაა“— თვითეული მუშა ცდილობს არ მოხვდეს შრომის დეზერტირთა სიაში, — თორემ მოელის ამ სამარცხვინო სალაროდან ხელფასის მიღება — და ისიც იმ დროს, როცა სასადილოთ მოსული მუშები მაგიდების გარშემო სხედან.

მე რომ იქ ვმუშაობდე, სირცხვილით, რაც არ უნდა მიჭირდეს, „შავი ბუდკიდან“ არ ავიღებ ფულს. ასე ფიქრობენ ადგილობრივი მუშებიც და დეზერტირობას იშვიათად, ძალიან იშვიათად აქვს ადგილი.

კედელზე წითელი და შავი დაფაა. ვიღაც „ბედნიერი“ მოხვედრილა დეზერტირთა სიაში. მინდოდა მენახა ის დეზერტირი როგორი სახით მივიდოდა „დეზერტირთა სალაროდან“ ფულის მისაღებად. მაგრამ ჩემი იქ ყოფნის დროს — არ მქონია შემთხვევა დამენახა ეს სურათი.

ჩვენ ბრიგადაში მყოფი მხატვრები შეუდგენ მუშაობას. ხატავენ დამკვრელებს, გამომგონებლებს, მანქანებს და სხვ.

წითელ-წყაროში საინტერესო კლუბია. მეფის დროს აქ ოფიცერთა საკრებულო ყოფილა. ეხლა ამ შენობაში 1931 წ. იანვრიდან მოთავსებულია საქ. ნავთის წარმოების მუშათა კლუბი. კლუბთან შემდეგი სექტორებია: 1) ორგანიზაციული, 2) სამეურნეო-ფინანსიური, 3) საბიბლიოთეკო და სწავლების სექტორი, 4) ყოფაცხოვრების, 5) ფიზკულტურის და სამხატვრო სექტორი.

კლუბის დრამ-წრეს (ქართული და რუსული) გეგმით გათვალისწინებული აქვს თვეში ექვსი წარმოდგენა, რვაჯერ კინო-სურათი.

1931 წლის პირველ იანვრიდან ამავე წლის ნოემბრამდე დრამ-წრის ხელმძღვანელი იყო ამხ. იანგო აფტალიდი, რომელიც ენერგიულად მუშაობდა და გეგმაც სრულდებოდა. აფტალიდის წასვლის შემდეგ საქმეს მიძინება დაეტყო და შეიძლება ითქვას, რომ ქართული დრამ-წრის მუშაობა სრულიად ჩაკვდა.

ჩვენ ჩასვლასთან დაკავშირებით მოწვეულ იქნა დრამ-წრის საორგანიზაციო კრება და ჩვენს ბრიგადაში მყოფ რეჟისორის ხელმძღვანელობით — წრემ დაიწყო პიესის მზადება.

— ჩვენი რაიონი სამრეწველო რაიონია, ნავთის წარმოების მუშათა მხატვრული მომსახურეობის საკითხი სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს. გამოგვიგზავნეთ ტფილისიდან ისეთი კაცი, რომელიც გამოდგება დრამ-წრის ხელმძღვანელად. თვეში 500—600 მანეთს მივსცემთ, კარგ სამუშაო პირობებს შევუქმნით — ასეთია ადგილობრივ ამხანაგების თხოვნა - განცხადება.

წითელ - წყაროში 850 მუშა-მოსამსახურეა. კლუბი იტევს 190 კაცს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კლუბში მუშა-მოსამსახურის ოჯახებს გარდა არის ხშირი შემთხვევები, როცა ახლო-მახლო სოფლებიდანაც დაიარებიან, — აშკარად ისმება საკითხი კლუბის გაფართოვების შესახებ. ადგილობრივმა სათანადო ორგანიზაციებმა ამ საკითხის მოსაგვარებლად ეხლავე უნდა მიიღონ ზომები, რომ კლუბის შენობა გააფართოვონ.

წითელ-წყაროს დრამ-წრემ თვეში სამჯერ უნდა გაუწიოს მომსახურეობა მირზაანს იქ გასვლით და წარმოდგენების გამართვით. დღემდე ამ მხრივ საქმე ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე.

დაახლოვებით სამ დღეში ერთხელ კლუბის გამგეობა უშვებს კინო-სურათებს. უნდა აღინიშნოს, რომ კინო-სურათების შინაარსი ვერ აკმაყოფილებს სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდის მოთხოვნებს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ კლუბს მუშათა აუდიტორია ჰყავს, უფრო მწვავედ დადგება საკითხი ისეთი კინო-სურათების შერჩევის შესახებ, რომელიც უხელმძღვანელებს მუშათა მასას იმ მოვლენების გარკვევაში, რომელნიც მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი გაშლილ სოციალისტურ მშენებლობასთან. როგორც სჩანს ადგილობრივ სათანადო ორგანოებსაც მაინცა და მაინც არ ატკივებიათ თავი ამ გარღვეული ადგილის გამოსასწორებლად.

საქ სახკინმრეწვს მართებს მიაქციოს ამას ყურადღება და კინო-სურათი მისაწვდომი უნდა გახადოს ნავთის მუშებისათვის.

წითელი წყარო ცოცხალი და მოძრავი პატარა ქალაქია. იქ არის საქ. ნავთის წარმოებათა მთავარი კანტორა-გამგეობა.

წითელ-წყარო საქ. ნავთის ტვინია. იქ არიან: ინჟინერები, ტეხნიკოსები, გეოლოგები, ეკონომისტები. ხელმძღვანელობენ ნავთის ადგილებში სარეწაოებს და დედამიწის სიღრმიდან ექაჩებიან ნავთს.

მირზაანში 23 ჭა-ბურღილია, პატარა შირაქში—3, მლაშის ხევში 1, გულიანში და ომფორეთში (გურია) თითო-თითო, სწარმოებს მუშაობა ნავთლუღშიაც — დაახლოვებით ივნისში დაიდგმება კოშკი. ეხლა სწარმოებს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა.

ნავთლუღში — ნავთი! ეს ბევრისათვის ახალი ამბავია. როცა ბოლშევიკური მუშაობის ხანძარი დაინთება და იფეთქებს ტფილისის მიწიდან ნავთის შადრევანი — ერთი ორად გაიზრდება საბჭოთა საქართველო; ძირითადათ შეიცვლება ტფილისის სახე და ამიერ-კავკასიას შეეძინება კარგა მოზრდილი ნავთის ქალაქი.

მირზაანში ნავთია—საუკეთესო ხარისხის ნავთი.

მირზაანში მაზუთის ტბაა, რომლიდანაც ეზიდებიან მაზუთს იქვე და წითელ წყაროში სხვადასხვა სახელოსნოებისათვის.

— ეხლა კი დავრწმუნდი, წამოიძახა ჩემმა თანამგზავრმა—მხატვარმა.

— რაში ამხანაგო?

— აქ მართლა ნავთია და დიდი ამბები დატრიალდება—მპასუხობს.

ეს გულუბრყვილო საუბარი გამოიწვია იმ სიხარულმა, რომელიც ჩვენ ვიგრძენით მირზაანში.

მირზაანი გორაკზე გაშენებული პატარა ქალაქია, მუშათა ქალაქი. თეთრი სახლებია—აქა-იქ შეშავებული. აქ სცხოვრობენ მუშები—ბევრი მათგანი ოჯახობით, ინჟინერები, დანარჩენი ტეხნიკური პერსონალი, კულტმომუშავენი.

ჰაერის სივრცეში აწვდილ ნავთის კოშკებს აელვარებს გაზაფხულის მზე. გახურებული მუშაობაა.

ვინახულეთ კულტსექტორი—ამხ. შოთა შავდია.

— ამხანაგო, დასამალი არ არის, გაცნობებთ და დასწერეთ აუცილებლად გაზეთში, რომ მირზაანის მუშების მხატვრულ მომსახურეობას არავითარი ყურადღება არ ექცევა. ნაწილობრივ დამნაშავეა ადმინისტრაცია, რომელიც ამას სასხვათაშორისოდ უყურებს და არ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნას.

არსებობს რუსულ-ქართული დრამწრე, რომელნიც უმთავრესად კომკავშირელებისაგან შესდგება, მაგრამ მათი საქმიანობა არ ატარებს სისტემატიურ ხასიათს.

მირზაანში 400 მუშაა—კლუბი კი იტევს მხოლოდ 150 კაცს.

კინო-სურათები იქ იშვიათი ხილია, კლუბთან არსებული სამკითხველო მეტად ღარიბია. გამოწერილი ჟურნალ-გაზეთები არ მოდის დროზე—ხშირია დაკარგვის შემთხვევები. მუშების „ინტელექტუალურ მომარაგებას“ ხელს უწყობს მხოლოდ წითელ-წყაროდან იშვიათად მოვლენილი მოძრავი სამკითხველო.

ქვეყანას ნავთი სჭირდება! ნავთის მუშებს კი ჩვენი დახმარება—კულტურული მუშაობის გასაღრმავებლად და მხატვრულ მუშაობის მაღალ საფეხურზე დასაყენებლად.

საჭიროა ადგილობრივი ძალებით და ცენტრის დახმარებით—კულტურული და მხატვრული ფრონტის გამოსწორება..

ჩვენი ყურადღება მიიპყრო საბჭოთა ინჟინერის—გრიბანოვის სისტემის კოშკმა, რომელიც ბევრად უკეთესია ამერიკული რკინის კოშკებზე. თუ ამერიკიდან მოჰქონდათ კოშკები, ეხლა თვით ამერიკა ყიდულობს პატენტს ამ სისტემის კოშკზე. საბჭოთა ტეხნიკა იმარჯვებს.

⁂

მირზაანის ნავთის ხვედრითი წონა უდრის 0,877—უმაღლესი ხარისხისაა—15-17 პროც. ბენზინს შეიცავს.

32 წლის პირველ კვარტალში ბურღვის გეგმა შესრულებულია 102 პროც.

მირზაანში იდგმება ნავთობის გადამმუშავებელი ქარხანა, რომელიც სულ მალე დაიწყებს მუშაობას—გადამუშავების ძალა იქნება 15.400 ტონა.

1931 წლის ბოლოს მუშა-ხელი უდრიდა 1.031 კაცს. თებერვალში 1.400. [illegible] მუშა-ხელოსნები მოწვეული არიან [illegible] მუშათა შორის ახალგაზრდობა [illegible] ვან ნაწილს წარმოადგენს.

მუშა-ქალთა ჩაბმა წარმოებ[illegible] 14 პროც.—მიღებულია ზომ[illegible] გაზრდისათვის.

მირზაანში 5 კომკავშირ[illegible] კომკავშირული ბილეთების [illegible] ტო ბარათების შეცვლასთან [illegible] —სწარმოებს გაცხოველებულ[illegible] ასე, მაგალითად, სამშენებლო [illegible] ვისი გეგმა შეასრულა 150 პროც[illegible] აგება, რემონტი, შენობების გალესვა [illegible] ეწყო კომკავშირული შაბათობა. ინჟინერ-ტეხნიკოსების უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო ტეხნიკის დაუფლების წრე, რომელიც მიზნად ისახავს: აღმშენებლობის, ნავთის ექსპლოატაციის, ბურღვის დაზგების დადგმის—ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვით შესწავლას და სხვ.

კამპანიასთან დაკავშირებით გაძლიერდა გამომგონებელთა წრის საქმიანობაც, რომელზედაც სამეცადინოთ მიმაგრებულია 3 ინჟინერი.

კომკავშირს თავისი სახელობის ჭა-ბურღილი აქვს.

მირზაანის მუშებისა და ინჟინერების ენერგიული მუშაობა საწინდარია ახალ სოციალისტურ გამარჯვებათა ჩვენი ქვეყნის მშენებლობის ფრონტზე.

— აი, ამხანაგო, ეს ინჟინერია—მიათითა ამხ. შავდიამ ინჟინერს.

ვერავითარი განსხვავება ვერ ვპოვე მუშისაგან. სამუშაო ხალათში გამოწყობილი ინჟინერი შავი ხელებით—იგივე მუშაა, რომელიც თავის გამოცდილებას და ცოდნას უერთებს ასეულ პროლეტარის ფიზიკურ მუშაობას ნავთის წვიმის მოსაყვანად.

⁂

ზარმა, რომელიც დროის ატყობინებს ნავთის სარეწაოებზე შესეულ მუშებს, შვიდჯერ დარეკა.

ელექტრონის ბოძებზე აინთო შუქი.

გამოვემშვიდობეთ ნავთის გმირებს, მუშათა თეთრ სახლებს, მაღალ სივრცეში ამაყად ატყორცნილ ნავთის კოშკებს და ეტლმა წითელ-წყაროსაკენ გაგვაქანა.

ხელოვნების ქრონიკა

თეატრი და კინო

რევოლუციის თეატრის დაჯილდოვება

მოსკოვის სათეატრო წამოწყებათა სამმართველომ ორი კვირის დამატებითი შვებულებით დააჯილდოვა რევოლუციის თეატრის კოლექტივი სამაგალითო სამხატვრო მუშაობისა („სიხარულის ქუჩა“-ს და „შემოსავლიანი ადგილი“-ს დადგმა) და საწარმოო გეგმის მთლიანად შესრულებისათვის. „სიხარულის ქუჩა“-ს დამდგმელმა და მხატვარმა შნეპიანოვმა მიიღო ფულადი ჯილდო 1500 მანეთი.

„მოგზაურობა საბჭოთა კავშირში“

ლენინგრადში კინო-რეჟისორები გ. კოზინცევი და ლ. ტრაუბერი შეუდგნენ სურათ „მოგზაურობა საბჭოთა კავშირში“ გადაღებას. სურათის თემაა—სეზონური მუშის ფსიქოლოგიის გარდაქმნა და ბრძოლა შრომის ახალი ფორმებისათვის. მთავარ როლებს ასრულებენ: ბაბანოვა (რევოლიუციის თეატრის მსახიობი), გარინი და იგორ ილინსკი (მეიერხოლდის თეატრიდან).

ოპერის სეზონის დახურვა

3 ივნისს დაიხურა სახ. ოპერის სეზონი „აბესალომ და ეთერი“-თ.

„სემპერანტე“

4 ივნისს, ოპერის თეატრში დაიწყო იმპროვიზაციის თეატრის „სემპერანტე“-ს გასტროლები. როგორც წინა №-ში ვწერდით, „სემპერანტე“ თვითონ აკეთებს პიესას ამა თუ იმ მწერლის მიერ მოცემულ თემის მიხედვით. 4 ივნისს წარმოდგენილი იქნა „თავფეხა კაცი“, თემა ფ. გლადკოვის.

„თეა-ჯაზ“

მუშა-ახალგაზრდობის თეატრში 10 ივნისიდან იწყება „თეა-ჯაზ“-ის გასტროლები.

სიმფონიური კონცერტები

20 ივნისიდან თბილისში იწყება სიმფონიური კონცერტების სეზონი: პირველი სიმფონიური კონცერტი გაიმართება მოსკოვის დიდი თეატრის დირიჟორის ნ. გოლოვანოვის ხელმძღვანელობით და ა. ნეჟდანოვას მონაწილეობით.

კ. მარჯანიშვილის თეატრის მიწვევა უზბეკისტანში

განათლების სახალხო კომისარიატმა უზბეკისტანის განათლების სახალხო კომისარიატისაგან მიიღო დეპეშა, რომელიც წინადადებას იძლევა გაიგზავნოს საგასტროლოდ ტაშკენტში და სამარკანდში ქართული სახელმწიფო დრამა კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით.

საგასტროლო მოგზაურობა წელს, ალბად, ვერ მოეწყობა, რადგან თეატრს განზრახული აქვს ზაფხულზე გაემგზავროს ხაშურის რაიონში, სადაც მომსახურეობას გაუწევს ხაშურს, სურამს და ბორჯომს. მოსამზადებელი მუშაობა მომავალ სეზონისათვის იწარმოებს ხაშურში ახლად აგებულ თეატრში.

სომხეთის თეატრის გასტროლები

18 ივნისიდან სახ. ოპერის თეატრში იწყება სომხეთის ს.ს.რ.-ის პირველ წითელ დროშოსან თეატრის საიუბილეო გასტროლები. 18 ივნისს წარმოდგენილი იქნება „ნავთი“.

ლიტერატურული ქრონიკა

ლიტერატურულ - მუსიკალური საღამო

30 მაისს პედინსტიტუტის მიერ მოწყობილ იქნა ლიტერატურულ - მუსიკალური საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პოეტებმა: **გ. ქუჩიშვილმა, ილო მოსაშვილმა, ვ. რუხაძემ** და მომღერლებმა: **ცირილაძემ, ელიოზაშვილმა და ნ. ქუმსიაშვილმა.**

საღამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

„თოლია“

დაიბეჭდა და ამ დღეებში ცალკე წიგნად გამოვა **ილო მოსაშვილის** მოთხრობა „თოლია“. გამოცემა სახელგამის.

„გადამწყვეტი წელი“

გამოვიდა **რაჟდენ გვეტაძის** ნარკვევების წიგნი „გადამწყვეტი წელი“. გამოცემა სახელგამის.

„წითელ კოლხეთში“

იბეჭდება კ. ფირცხალაიშვილის წიგნი: „წითელ კოლხეთში“. ამავე ავტორმა დასწერა პოემა: „უცნაური ერიამული“.

„მნათობი“

— გამოვიდა „მნათობი“ № 3—4. შინაარსი: საკ. კომ. პარტ. (ბ) ცკას 23 აპრილის დადგენილება, რედაქციის წერილი.

ლექსები: 1) გ. ტაბიძე, 2) კ. კალაძე, 3) სიმ. ჩიქოვანი, 4) ირ. აბაშიძე, 5) გრ. ცეცხლაძე, 6) კ. ბობოხიძე.

პროზა: პ. ჩხიკვაძე—ნაბიჯები—რომანი. დ. სულიაშვილი—კედელი—მოთხრობა. კ. ლორთქიფანიძე—ძირს სიმინდ. რესპუბლიკა, მოთხრობა. მიხ. ჯავახიშვილი—არსენა მარაბდელი—რომანი.

ადამიანები და ფაქტები:

დემნა შენგელაია—„ბრძოლის ველზე“, ნარკვევი.

აკ. ბელიაშვილი—არაშენდას დასასრული—ნარკვევი.

სერგო კლდიაშვილი—დავით კლდიაშვილი—მოგონებანი,

ბარონ ბიბინეიშვილი—კამო.

ლიტერატურა და ხელოვნება:

ალი არსენიშვილი—განთავისუფლებული თანხმოვანება (გოეტე).

გოეტეს ლექსები—თარგმანი **ვ. გაფრინდაშვილისა;**

აკ. გაწერელია—გოეტე ქართულ ლიტერატურაში

ბ. ჟღენტი—გადამწყვეტი წელი ქართულ ლიტერატურაში.

წიგნები და მწერლები:

გ. ნატროშვილი—ს. კლდიაშვილის —„ფერფლი“.

დ. ბენაშვილი—მეთოდოლოგიური შენიშვნები (შ. რადიანის წიგნის გამო.

სალიტერატურო არქივი:

მამია გურიელი—„ირმის ნაამბობი“ (პოემა).

ცხოვრება და მეცნიერება:

პროფ. ბერიტაშვილი—დარვინიზმის მეთოდოლოგია.

ბიბლიოგრაფია:

ალ. არსენიშვილი—ლუარსაბიძის „ქართულ ჟირონდას მწერლობა“.

დ. ბენაშვილი—გომიაშვილის წიგნი—„ანდეზიტის სიმღერები“.

გ. ნატროშვილი—კაკაბაძის წიგნი — „ჩემი პირველი უჯრედი“.

ლიტერატურის და ხელოვნების ქრონიკა.

უცხოეთის ლიტქრონიკა

„გამოფხიზლება“

თანამედროვე პროზა საფრანგეთში თანდათან სცილდება თავის კლასიურ სათავეებს — ბალზაკს, ჰუგოს, ფლობერს და მიდის უმთავრესად იმპრესიონისტებისა და ნეოდეკადენტების შემოქმედებითი გზით. განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ირრაციონალიზმი, გაქცევა ყოველდღიური სინამდვილიდან, და მოგონილის, აბსტრაქციისადმი დაბრუნება.

ჟან გასსონის რომანი **„გამოფხიზლება“** [illegible] ფაქტის დამადასტურებელია. რომანში [illegible] უმთავრესად ფანტასტიურ და ირ[illegible] მომენტების გადმოცემას ისა[illegible] მიზნად. სიყვარულის გრძნობა, რო[illegible] ვერ პოულობს დამაკმაყოფილებელ [illegible] — იქცევა იმპულსად სუბიექტიური, [illegible] ქვეყნის შესაქმნელად. ასეთი [illegible] „გამოფხიზლება“ კი ხშირად [illegible] თავდება.

[illegible] მოქალაქის სულისკვეთება, როგორც ვხედავთ, გასაგებ ფორმულა[illegible] გამოთქმული. რომანის სიუჟეტიც ამა[illegible] მოგვითხრობს.

პოლ ვალერის კრიტიკული წერილები

პარიზში გამოვიდა ცნობილი ფრანგი პოეტი - აკადემიკოსის, პოლ ვალერის კრიტიკული წერილების კრებული. ცნობები მათი შინაარსის შესახებ შემდეგშია:

პოლ ვალერის შემოქმედებაში ეს კრებული ნახევრად ფილოსოფიურ და ნახევრად პუბლიცისტური წერილებისა, წარმოადგენს შემდეგს ეტაპს ტრადიციონალიზმისა და **დიდაქტიზმის მიმართულებით. ავტორი** ბურჟუაზიული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი აპოლიტიურობით თავის წიგნს განაკუთვნებს იმათთვის, რომელთაც არ მოეპოვებათ არავითარი სისტემა აზროვნებისა და რომლებისთვისაც უცხოა ყოველგვარი პარტიულობა, ვინც თავისუფალია იდეებისაგან იმ სფეროში, რომელიც საერთოდ იდეების აღმძვრელია. თავის ეპოქის პატივისცემის მიზნით პოლ ვალერი მზადაა უარჰყოს კაცობრიობის გონების მრავალი მიღწევანი.

პოლ ვალერის „ფილოსოფიისათვის“ უცნობია სოციალისტური იდეები, ის მოკლებულია რადიკალიზმის რევოლიუციონურ ნიშანწყალს.

კრებულში ყურადღებას იქცევს ხელახლა, მხატვრულად გადამუშავებული წერილები: „პოლიტიკა“, „პარიზის მოღვაწეობა“ და სხვ.

„კოლონიალური რომანი“

ფრანგი მწერლის **ჟან პორიკს** ახალი რომანი ეხება 1885 წელს კანადაში მომხდარ აჯანყებას ინგლისელთა წინააღმდეგ. რომანის გმირია — მანიტობის (კანადის ერთ-ერთი მხარე) ინსურგანტების ბელადი. ეს რომანი, როგორც მთელი რიგი სხვა რომანებისა კანადის ცხოვრებაზე დაწერილთა სერიიდან, დამახასიათებელია იმ ინტერესის მაჩვენებლად, რომელმაც თავი იჩინა საფრანგეთის იმპერიალისტთა შორის: ყურადღებით ეკიდებიან არა მარტო მიმდინარე პოლიტიკურ პრობლემებს, არამედ თავიანთ „ისტორიულ დამსახურებებსაც“.

„5 წუთი ამერიკაში“

ფელიკს ზალტენის ეს წიგნი გადმოგვცემს ავტორის დაკვირვებებს და ნახულს ამერიკაში მოგზაურობისას. ზალტენი ქედს იხრის შეერთებული შტატების „კეთილშობილურ, განმაცვიფრებელ და წმინდა კაცობრიული ყოფის წინაშე. ნარკვევი მდარე ხარისხის ბურჟუაზიულ აპოლოგიას წარმოადგენს: მოვლენები და ფაქტები დანახულია ზედაპირულად, რომლის იქეთ სოციალური შინაარსი არ სჩანს.

წიგნები გოეტეს შესახებ

„დოიჩე ლიტერატურცაიტუნგი“ იძლევა სიას იმ ახალი შრომებისა და წერილებისას, რომელიც გოეტეს იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა გერმანიაში, აი ისიც: **1. ფ. ფონბიდერმანი „გოეტეს ცხოვრების ქრონიკა“, 2. „გოეტეს ცხოვრება წერილებში“, 3. რიჰარდ ფონ პაიერ-ტურნ: გოეტეს ცხოვრება და შემოქმედება 444 სურათში“, 4. კუჰნ: „ქალურობა და გოეტე“, 5. პ. შაფფერი: „გოეტეს გენეალოგია“, 6. ქ. ფრანც: „გოეტე როგორც რელიგიური მოაზროვნე“, 7. მ. გებჰარდ: „გოეტე როგორც ფიზიკოსი“, 8. ვ. როფსმანი: „გოეტეს ფაუსტი“, 9. რიკერტი: „ელენა გოეტეს ფაუსტში“.**

ბიბლიის „ექსპორტი“

სტამბოლის ერთ-ერთი თურქული სკოლის მოწაფეს სკოლაში აღმოჩნდა „სახარება“ თურქულ ენაზე. გამოირკვა, რომ მისიონერები ენერგიულად ავრცელებენ „საღვთო წერილს“ თურქ მოსწავლეთა შორის, რომ არაფერი ვსთქვათ მოსახლეობის დანარჩენ წრეებზე, რომელთაც „ქრისტეს მოციქულნი“ ყოველნაირად აჩრიან ხელში „სულის საცხონებელ“ ლიტერატურას. მისიონერები არ კმაყოფილდებიან წიგნის მაღაზიების და ბიბლიოთეკების გახსნით. ისინი სტამბოლის ბაზრებზე და ქუჩებში ეწევიან მოძრავ ვაჭრობას ქრისტიანული რელიგიის წიგნებით, ნისიად და უფასოდაც არიგებენ მათ. ამ გარემოებამ აალაპარაკა თურქული პრესა, რომელიც სავსებით გარკვეულად აღნიშნავს მისიონერთა პროპაგანდის პოლიტიკურ აზრს. მაგ., მთავრობის გაზეთ „ხაკიმიეთ მილიე“-ს სიტყვით, მისიონერები ემსახურებიან არა „სულიერ“, არამედ სულ სხვა მიზნებს: „ზეციური სასუფევლის პროპაგანდა;— სწერს გაზეთი,—როგორც სჩანს, უფრო მიმართულია საამქვეყნო საქმეებისაკენ, იქითკენ, თუ რა კეთდება ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე“.

ამგვარად, „ქრისტეს მოციქულნი“ წინანდებურად ცდილობენ „სახარების“ საშუალებით ნიადაგი მოუმზადონ იმპერიალისტების ბატონობას თურქეთში, ისე როგორც აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. მაგრამ რელიგიური პროპაგანდის იარაღი უკვე ძალზე მოჩლუნგებულია, რომ ამ გზით შეიძლებოდეს იმ მასების დამონება, რომლებიც სულ უფრო ადგებიან რევოლიუციონური ბრძოლის გზას.

სამეცნიერო ექსპედიცია თუშეთში

საქართველოს მთიელთა კულტურული საზოგადოება და საქართველოს მუზეუმი მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოში თუშეთში აგზავნის ეთნოგრაფიულ ექსპედიციას.

ექსპედიციას დავალებული აქვს ძველი და ახალი თუშეთის შესწავლა. ექსპედიცია შეაგროვებს მასალას თუშეთის ეკონომიკის ძირითადი საკითხების შესახებ. შეისწავლის კოლმეურნეობას ინდივიდუალურ მეურნეობასთან დაპირისპირებით, მესაქონლეობის ძირითად დარგებს, საბჭოთა მშენებლობას, წინაკლასიური საზოგადოებრივი ფორმაციის ნაშთებს სოციალური და მატერიალური კულტურის ხაზით. აგრეთვე შეგროვებულ იქნება მასალები ანტირელიგიური თვალსაზრისით და შეძენილი იქნება თუშეთის ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი კოლექციები. ექსპედიციის მუშაობის შედეგად შემოდგომაზე საქ. მუზეუმში მოეწყობა თუშეთის ეთნოგრაფიული გამოფენა და გამოცემული იქნება სამეცნიერო კვლევითი მონოგრაფია.

ალექსანდრე ოღანეზაშვილის გარდაცვალება

გაწყდა საშა ოღანეზაშვილის ქიანურის სიმი, ვეღარ მოვისმენთ მის ნაზ მომარჯვებულ ჰანგებს, რომლებითაც ესოდენ მდიდარია აღმოსავლეთის ხალხთა მუსიკალური შემოქმედება. საშა ოღანეზაშვილი ამ ჰანგებს დიდის სიყვარულით და გულმოდგინეობით ჰკრეფდა, უფრთხილდებოდა და ცდილობდა მათს გადარჩენას დამახინჯება-გადაგვარებისაგან.

ს. ოღანეზაშვილი მარტო ერთი იყო, რომელიც მეცნიერულად იკვლევდა აღმოსავლეთის მუსიკას, მის ხასიათს. ამ მხრივ დაუფასებელია მისი შრომა და ენერგია აღმოსავლურ მუსიკალურ კულტურის ისტორიისათვის, ამ დარგში ის ითვლებოდა დიდათ მომზადებულ თეორეტიკოსად. ამასთანავე ოღანეზაშვილი იყო ქიანურზე დაკვრის ვირტუოზი და იშვიათი არტისტი.

იყო იმ ზომის ოსტატი და ხელოვანი დამკვრელი, როგორიც ძველად ცნობილი მგოსანი და დამკვრელი საიათნოვა. ოღანეზაშვილი ითვლებოდა საიათნოვას ჰანგების უბადლო შემსრულებლად და მისი ხელოვნების გამგრძელებლად. მხოლოდ, სამწუხაროდ იგი ვერ გაიგეს. სიცოცხლეშივე ღირსეულად ვერ დააფასეს.

იგი ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა. თავის სამშობლო საქართველოდან წავიდა აზერბეიჯანში, შემდეგ მოღვაწეობდა სომხეთში, სპარსეთში. მაგრამ ოღანეზაშვილის შემოქმედების მთავარი სარბიელი იყო მისი საყვარელი თბილისი.

ოღანეზაშვილი ამიერ-კავკასიის მთავრობამ გაგზავნა დელეგატათ 1927 წელს მაინის-ფრანკფურტში მსოფლიო მუსიკალურ კონგრესზე. აქ მან ქიანურზე აღმოსავლურ ჰანგების საოცარი შესრულებით აღტაცებაში მოიყვანა მსმენელნი და დიდი ყურადღება დაიმსახურა.

ეხლა დადუმებულია მისი საყვარელი ქიანური, დამცხრალია სამუდამოდ მისი მგზნებარე ხელიც, რომელიც შეხებისთანავე ასე ტკბილსა და მომხიბვლელ ჰანგს გამოცემდენ ქიანურის სიმები.

ალბათ ბევრი დრო გავა ვიდრე ვინმე შეედრებოდეს ქიანურის ამ დიდ მაესტროს.

მართალია ჯერ კიდევ ახალგაზრდა გარდაიცვალა ოღანეზაშვილი, მაგრამ მან იმდენი ძვირფასი სამკვიდრო სიმღერები დაგვიტოვა თავისი ნაშრომების სახით აღმოსავლურ მუსიკის შესახებ, რომ საშა ოღანეზაშვილის სახელი მუდამ დარჩება აღმოსავლურ მუსიკის ისტორიის ფურცლებზე.

მხატვარი გიგო შარბაბჩიანი.

ბიოგრაფიული ცნობები

ოღანეზაშვილი დაიბადა 1888 წელს ს. სოღანლუღში. 13 წლის ოღანეზაშვილმა შეისწავლა ქიანურზე დაკვრა, იმდენად ხელოვნურად, რომ იგი ერთი საუკეთესო დამკვრელად ითვლებოდა მთელს კავკასიაში და სპარსეთშიც.

1911 წელს დასწერა თურქულ ენაზედ ოპერა, „ფარჰატ შირინ“, 5 მოქმედ. ეს ოპერა მრავალჯერ დაიდგა ბაქოში. 1914 წელს ბაქოშივე დაარსა „აღმოსავლეთის მუსიკის კურსები, სადაც თვითონ ასწავლიდა. 1919 წელს მისი ინიციატივით ბაქოში დაარსდა „აღმოსავლეთის მუსიკის პედაგოგიური კურსები“. მისივე ინიციატივით 1920 წელს გაიხსნა „აღმოსავლური მუსიკის სახალხო კონსერვატორია“. 1921 წელს ოღანეზაშვილი გადმოვიდა თბილისში, სადაც ყაზანელ თათართა შრომის სკოლაში ასწავლიდა სიმღერა - გალობას რამოდენიმე წლის განმავლობაში. 1924 წელს ოღანეზაშვილმა სომეხ ხელოვანთა სახლში „ჰაიარტუნში“ არსებულ სამუსიკო სტუდიასთან მოაწყო აღმოსავლეთის მუსიკის კლასი, სადაც აგრეთვე თვითონვე ასწავლიდა.

მან შეადგინა და გამოსცა „აღმოსავლეთის საკრავთა თვითმასწავლებელი“. დასწერა წიგნი „სპარსული მუსიკის თეორია“, პირველად გადასწერა და დაბეჭდა თურქულ ენაზე საიათნოვას ლექსები, რომელიც ქართული ასოებით იყო ნაწერი. ოღანეზაშვილი ხშირად ათავსებდა წერილებს მუსიკის შესახებ აზერბეიჯანის პერიოდულ თურქულ და თბილისის ქართულ, რუსულ, თურქულ და სომხურ ჟურნალ-გაზეთებში. 1926 წელს მიწვეულ იქნა ერევანში, კონსერვატორიის დირექტორად, სადაც დაჰყო ორ წლამდე, როგორც ცნობილ დამკვრელის ალ. ოღანეზაშვილს, აგრეთვე ხშირად იწვევდენ კავკასიის ყველა დიდ ქალაქებში.

სარედაქციო კოლეგია
რ. გვეტაძე, დ. დემეტრაძე (პ.-მგ. რედაქტორი), შ. დუდუჩავა, ს. თალაკვაძე, ნ. მიწიშვილი, შ. რადიანი, გ. ჟღენტი, პ. ჩხიკვაძე, ლ. ქიაჩელი.

რედაქცია მოთავსებულია ეგ. ნინოშვილის სახელობის მწერალთა სასახლეში, მაჩაბლის ქ. № 13, ტელეფონი 1-65.
გამომცემლობა „ფედერაცია“

გრძელდება ხელისმოწერა „სალიტერატურო გაზეთზე“
ა.-წ. მესამე კვარტალიდან (1-ლ ივლისიდან) გაზეთი გავრცელდება მხოლოდ ხელისმომწერთა შორის
ხელისმოწერა შეიძლება კვარტალურად: 3,6 ან 9 თვით. თვითეულ კვარტალში გამოვა 9 ნომერი და ღირს 1 მან. და 30 კაპ. სამი კვარტალით (27 ნომერი) 5 მან. 40 კაპ.
ხელისმოწერა მიიღება ფოსტის ყველა კანტორაში, „სოიუზპეჩატის“ კიოსკებსა და წიგნის მაღაზიებში და გამომცემლობა „ფედერაცია“-ს მთავარ კანტორაში (თბილისი, ჯორჯაძის ქ. № 1. საჭირო ახსნა-განმარტებისათვის მიმართეთ გამომცემლობა „ფედერაცია“-ს ჯორჯაძის ქ. № 1. აქვე „სალიტერატურო გაზეთი“-სათვის მიიღება ყოველგვარი ხასიათის განცხადებები (გარდა სამგლოვიაროსი)

სტამბა „კომუნისტი“, ლამის ქ. № 68. ტირაჟი 4000 მთავლიტი № [illegible]